# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

№ 161 (5762)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


გაუგონარი ფაქტი!..

## ჟურნალისტთა კავშირი ჟურნალისტთა წინააღმდეგ?!.

**ვინმე ჰამლეტ გეგიას და ვინმე გიორგი ჟორჟოლიანს, რომელნიც თავს რატომღაც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თანათავმჯდომარეებად აცხადებენ, იმდენივე კავშირი აქვთ ჟურნალისტიკასთან, რამდენიც აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან**

ამ დიდი „გამოსახლების ჟამს", როცა მიმდინარე წლის 10 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლად ვითომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (SIC!ძ ათობით რედაქციას დაატოვებინა „სამშობლოს" შენობა, ბევრმა ქუჩაში გამოგდებულმა რედაქციამ დროებით თავის შესაფარებლად მიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს (ერეკლე II მოედანი №3ძ, მაგრამ ამაოდ!..

სრულიად შემთხვევითმა პიროვნებებმა გეგიამ და ჟორჟოლიანმა, რომლებმაც, ვითომ კავშირის თანათავმჯდომარეებმა, ბოლო წლებში გაანიავეს, ყუაზე დაიყვანეს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ოღონდ თავიანთი ჯიბის გასასქელებლადძ სრულიად საქართველოს ჟურნალისტთა საერთო ქონება, გუშინ კავშირის კარი მიუხურეს და შენობაში არ შეუშვეს ზოგიერთი რედაქცია, ზოგიერთი კი გამოაძევეს შენობიდან, რაც უპრეცედენტო ფაქტია ჟურნალისტურ ცხოვრებაში, მით უმეტეს, დღეს, როდესაც გაჭირვებული კოლეგებისათვის თვითონ უნდა მიეცათ თავშესაფარი.

რაც შეეხება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", როგორც ვიუწყებოდით, ჩვენი რედაქცია ჩვეული რეჟიმით მუშაობას კვლავ განაგრძობს მერაბ კოსტავას ქუჩაზე (№12), ხოლო ის სარედაქციო ბარგი-ბარხანა, რაც ჟურნალისტთა კავშირის შენობაში დროებით გვქონდა შეტანილი, კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა...

აქ ნამდვილად უადგილოა ძველი ნათქვამი, ძმა ძმისთვის შავი დღისთვისო, კავშირის წინა ხელმძღვანელობისაგან საეჭვოდ გაქეზებულნი გეგია და ჟორჟოლიანი, ჟურნალისტთა საერთო ქონების მითვისების ჟინით შეპყრობილნი, არასოდეს არ ყოფილან ქართველი ჟურნალისტების მიმართ „ძმურად განწყობილნი", რასაც, მალე, ალბათ, სასამართლო განხილვაც დაადასტურებს, იმედია, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენით.

ერთი სიტყვით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ამჟამინდელი მისამართია მ. კოსტავას ქ. №12 და ჯერჯერობით ჩვენი ერთადერთი ტელეფონია 98-65-87.

## ჟურნალისტთა სახლიდან გამოაძევეს

ჟურნალისტთა სახლში მდებარე გაზეთების „თაბორისა" და „ახალი შვიდი დღის" თანამშრომლები იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ შენობიდან გამოაძევეს.

სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებსა და ჟურნალისტებს შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა. ჟურნალისტები იმ დოკუმენტების წარმოდგენას ითხოვდნენ, რომელთა საფუძველზეც მათი გამოსახლება ხდებოდა. თუმცა, სააღსრულებო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე უარი განაცხადეს.

ჟურნალისტთა სახლში სახალხო დამცველის მოადგილე გიგა გიორგაძეც მივიდა. იქვე იმყოფებოდნენ „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ხელისუფლება ცდილობს, ყველაფერს დაეპატრონოს და თავისუფალი სიტყვის მოსპობას არ ერიდება.

ადგილზე მყოფ სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს.

ინტერპრესნიუსი

## ვინ როდის ჩაირეცხება



**ნოდარ ჯალაღონია**

ვერავინ იტყვის წინასწარ ხვალინდელი დღე ვისია,
უფალმა იცის მარტოდენ, ქვეყნად ვინ რისი ღირსია.

კარგიც და ავიც სამშობლოს დაუნახავი არ რჩება,
მისი ნებაა, ამ ქვეყნად ვინ წავა და ვინ დარჩება.

ქვეყნად ვინ რისი ღირსია, დრო გააკეთებს არჩევანს –
ვინ როდის ჩაირეცხება, ვისი სახელი დარჩება.

ვინც დღეს ლაღობს და ხალისობს, იქნებ ცოცხალი მკვდრებია,
კაი ყმები კი ქვეყნისთვის საფლავიდანაც დგებიან.

ვინც სულს იუდას მიჰყიდის, სამშობლოს ღალატს ეცდება,
არ არის სალაპარაკო, ნამდვილად ჩაირეცხება.

მაგრამ ვინც თავის ხალხისთვის, მამულისათვის დაშვრება,
სიკვდილი არ უწერია, სამშობლოშივე დარჩება.

ვინც გადაჰყვება სმა-ჭამას, ქვეყნისთვის აღარ ეცლება,
ქვეყნის ურგი და ურგები უდავოდ ჩაირეცხება.

ვერვინ წაუვა ამქვეყნად ერის და ბერის განაჩენს,
უნდა ქვეყნისთვის იცოცხლო, თუ გსურს ცოცხალი გადარჩე.

წინასწარ ნურვინ ნუ იტყვის, წინასწარ ნურვინ ეცდება...
არავინ იცის, ამქვეყნად ვინ როდის ჩაირეცხება.

იხ. 12 გვ.



● ომისგან გამოწვეული ნგრევა და დესტაბილიზაცია კარგა ხნით გადადებს ამიერკავკასიის ნებისმიერი ქვეყნის მცდელობას შევიდეს ნატოსა და ევროკავშირში



⊙ ერთგულებას უმტკიცებენ

# აფხაზეთი თანახმაა რუსეთის რადიოაქტიური ნარჩენები მიიღოს

**მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ 1999-2000 წლებში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთის თხოვნით მიმართა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნივთიერებების სამარხი აეშენებინაო. რუსეთისთვის ეს ინიციატივა მომგებიანი იყო.**

### ნარჩენებს ყველა იშორებს

დღეს მსოფლიოში დაგროვილია მილიონობით ტონა



რადიოაქტიური ნარჩენები. განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები ცდილობენ ნარჩენები თავის ფარგლებს გარეთ გაიტანონ. ამისთვის როგორც მათ ხელთ არსებულ ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ბერკეტებს იყენებენ.

ნარჩენების დიდი მარაგი აქვს რუსეთსაც. ის მათ ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში მარხავს. ხელისუფლების ეს ნაბიჯი ალიზიანებთ ადგილობრივ ეკოლოგიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათი განცხადებით, ამგვარი ნაბიჯები საშიშროების წინაშე აყენებს უნიკალურ ფლორასა და ფაუნას.

გაჩეჩილაძის განმარტებით, ჩეჩნეთში, გროზნოსთან არის გასაიდუმლოებული ადგილი რადონი, იქ დაახლოებით ათასი კუბური მეტრი ნარჩენია. რუსეთს ხელს არ აძლევს ამ რეგიონში რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის აშენება. ამ დროს მას სულზე მოუსწრო აფხაზეთის წინადადებამ.

გასული საუკუნის შეთავაზების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე რუსებმა თავი შეიკავეს. საკითხის შევარდნაძის ხელისუფლებასთან გადაწყვეტა გადაწყვიტეს. მაშინდელმა სახელმწიფო საბჭომ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. საკითხი თითქოს მოიხსნა დღის წესრიგიდან.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გართულებისა და სოჭის ოლიმპიადის თამაშების ინფრასტრუქტურაში საქართველოს დაუკითხავად აფხაზეთის ჩართვის ფონზე, სეპარატისტებმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და რუსეთს თხოვნა გაუმეორეს.

ჩრდილოელმა მეზობელმა ამჯერად საქართველოს ხელისუფლებას იგნორირება გაუკეთა და წინადადება მიიღო. გადაწყდა, რომ რადიოაქტიური ნივთიერებების სამარხი გუდაუთასთან აშენდეს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროგრამის პარალელურად, დაიწყება სამარხის მშენებლობაც.

### ვინ რას მოიგებს?

**სამარხის აშენებით რუსეთი ორმაგად მოგებული დარჩება. პირველ რიგში, მოიშორებს დიდი რაოდენობით ნარჩენებს.** მეორე რიგში, — აცხადებს საქართველოს „მწვანეთა ლიდერი", — მოხდება ორივე ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი რამ — სამარხის აშენების შემდეგ მისი დაცვის მიზნით, რუსები ჯარების საკმაოდ დიდ კონტინგენტს შეიყვანს აფხაზეთში.

ექსპერტთა მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა წაუყრუოს მომხდარს და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის გათვალისწინებით შეეწინააღმდეგოს დაგეგმილს.

**ზაზა ბილიხოძე**

⊙ გარედან უკეთ ჩანს

# იქნება საქართველო-რუსეთის ომი?

## ერთი დიდი პროვოკაციაა სეპარატისტულ რეგიონებშიო და...

**საერთაშორისო ექსპერტები რუსეთ-საქართველოს შესაძლო ომს ვარაუდობენ. ამის თაობაზე წერილებიც ქვეყნდება უცხოურ პრესაში.**

ერთ-ერთი ავტორის აზრით, თუ უახლოეს ხანში არც საქართველოსა და არც რუსეთის პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვნად არ შეიცვალა, შესაძლოა, ამ ორ ქვეყანას შორის ომი დაიწყოს. ამის თქმის საფუძველს მას ის აგრესიული, ამორალური პოლიტიკა აძლევს, რასაც მოსკოვი ახორციელებს თბილისის მიმართ.

2008 წლის 9 მარტს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. ახალი პრეზიდენტი ჯერ სავარძელს კარგა მოირგებს და მერე კი მთელ მსოფლიოს დაანახვებს თავისსა და თავისი ქვეყნის სიძლიერეს, რათა „ავყიებს" ხმა ჩააწყვეტინოს და იმპერიული ამბიციებიც დაიკმაყოფილოს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ მისი ბოლო ორი წინამორბედი — ელცინი და პუტინი — სისხლისმღვრელი იყო, გენოციდმა ჩეჩნეთში თითქმის გაწყვიტა ერი.

ჟურნალისტის თქმით, რუსეთი სეპარატისტების ხელით დაგვიწყებს ომს. რუსეთი სამხედრო ძალით დაეხმარება და ამ ომის მთავარი მიზანი თბილისის განადგურება კი არ იქნება, არამედ — ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობაო.

მოსკოვი ყოველნაირად ცდილობს, არა და არ დაუშვას საქართველოს, აზერბაიჯანისა და დსთ-ის სხვა ქვეყნების შესვლა ნატოში და ევროკავშირშიც კი. უკვე რა ხანია რუსეთი მთლიანად უგულებელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ხოლო, თუ ორი სეპარატისტული რესპუბლიკა თბილისს შეუტევს. შესაძლოა, დე ფაქტოდ აღიარებულ სეპარატისტებს დე იურედ აღიარების იმედიც მისცეს.

ამ კონფლიქტით მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტი და დე ფაქტო ხელისუფალნი როდი იხეირებენო. ჩეჩნეთის ომი უკვე ისეთი შემოსავლიანი აღარ არის, 1994-1996 და 1999-2001 წლებში რომ იყო, ხოლო რუს გენერლებსა და მათთან შეკრულ კრემლის დაჯგუფებებს შემოსავლის ახალი წყარო სჭირდებათ. ამასთან, საქართველოში წარმატება უფრო ადვილად მოანელებინებს იმპერიას ჩეჩნეთში სამარცხვინო მარცხს.

ავტორის თქმით, საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს საერთაშორისო ასპარეზზე და მისი ეკონომიკაც სწრაფად ვითარდება. ამიტომ, რუსეთის ამჟამინდელი ამბიციური ხელისუფლებისთვის, სულ უფრო და უფრო ნაკლებ ანგარიშს რომ უწევს საერთაშორისო აზრს, უბრალოდ, აუცილებელია დაუმტკიცოს ყველას, რომ საქართველოს წარმატებებს, თუ ისინი მიღებულია რუსეთისათვის, მომავალი არა აქვს.



მართალია, მოსკოვმა 2008 წლის ბოლომდე ივალდებულა ჯარების საქართველოდან გაყვანა, მაგრამ საქართველოსთან ომის გასაჩაღებლად მას მის ტერიტორიაზე მაინცდამაინც ჯარების ყოფნა არა სჭირდება. ომი, შესაძლოა, აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში დიდი პროვოკაციის გამო დაიწყოსო (სეპარატისტებთან კი არა, აგერ სულაც ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გვიწყობენ დიდ პროვოკაციებს — რაკეტებს გვესვრიან — **კ. გ.**ძ. საამისოდ, ისევე, როგორც ეს 1939 წელს საბჭოთა კავშირმა უყო ფინელებს, საკმარისია რუსებმა, აფხაზებმა ან ოსებმა თავად დაიშინონ ტყვია და ომის მიზეზიც გამზადებულია. ამას სეპარატისტების თავდასხმა მოჰყვება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და ზემო აფხაზეთში. მოსკოვი ამ მუხანათობას მხარს საქართველოს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებზე საჰაერო დარტყმებითა და საქართველოში ტერაქტებით დაუჭერდა. რაღა თქმა უნდა, მოძალადეებსაც ყოველნაირად მოამარაგებს სამხედრო აღჭურვილობით. საქართველომ თავდამსხმელნი რომ გაანადგუროს კიდეც, მოსკოვი ტერაქტებს მაინც არ შეწყვეტს და საქართველოს წინააღმდეგ ყოველნაირ სანქციას შემოიღებს, ხოლო ახლო აღმოსავლეთში ძალზე გართულებული ვითარების გამო, ეს აგრესია, სავარაუდოდ, არ გამოიწვევს მკვეთრ საერთაშორისო რეაქციას და თბილისს სერიოზულ დახმარებას მხოლოდ აშშ, თურქეთი, შესაძლოა, აზერბაიჯანი და ევროპის ერთი-ორი ქვეყანა გაუწევს.



ომისგან გამოწვეული ნგრევა და დესტაბილიზაცია კარგა ხნით გადადებს ამიერკავკასიის ნებისმიერი ქვეყნის მცდელობას შევიდეს ნატოსა და ევროკავშირში. ეს ასევე შეუშლის ხელს აზერბაიჯანისა და, სავარაუდოდ, შუა აზიას ენერგომატარებლების დასავლეთში გატანას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ევროპის ენერგეტიკულ დამოკიდებულებას რუსეთზე.

საქართველოს ხელისუფლება გრძნობს ზემოთქმულ საშიშროებას და ამიტომაც ინტენსიურად ზრდის თავის შეიარაღებულ ძალებს. სწორედ ამიტომ გამოიყო ბიუჯეტიდან თავდაცვისათვის დამატებით 300 მლნ. აშშ-ის დოლარი. ამიტომ გაგზავნა თავისი დამატებითი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთსა და ერაყში, რაც აშშ-ს დიდ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ხიფათის შემთხვევაში.

**კონსტანტინე გურგენიძე**

⊙ ინფორმაცია

### სააკაშვილი თვითმფრინავიდან მატარებელში გადაჯდა

**საქართველოს რკინიგზა ხელისუფლების, კონკრეტულად, პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მიერ არის პრივატიზებული.**

ამის შესახებ ლეიბორისტული პარტიის წევრმა გიორგი გუგავამ გუშინ რკინიგზის პირველ ბაქანზე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, სტრატეგიული ობიექტი თავისი ინფრასტრუქტურით სახელისუფლო კლანების ხელში გადავიდა, ვინაიდან ბრიტანულ კომპანიას, რომელსაც იგი მართვის უფლებით გადაეცა, რკინიგზის მენეჯმენტის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია.

— ბრიტანულ კომპანიას, რომელმაც თურმე საქართველოს რკინიგზაში ინვესტიციები უნდა განახორციელოს, რკინიგზასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია, — აღნიშნა გუგავამ.

— რკინიგზა არის სტრატეგიული ობიექტი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტში მოგების სახით ასეულობით მილიონი ლარი შეჰქონდა. ეს მოგება დღეს სააკაშვილის ოჯახის ბიუჯეტში გადაინაცვლებს. ჩვენ ქვეყანას კი ისევ სოციალური კატასტროფა დაატყდება თავს, — აღნიშნა მან.

ლეიბორისტული პარტიის წევრის კახაბერ ძაგანიას განცხადებით, საქართველო, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფება და დასაბრუნებელი აქვს ტერიტორიები, რკინიგზის გაყიდვით უგუნურ ნაბიჯს დგამს.

**ინტერპრესნიუსი**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

● ...ძნელია მუდამ ნგრევის მოლოდინში ყოფნა. დაიღალნენ პედაგოგები, მშობლები იმაზე ფიქრით, რომ მოზარდებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი დაწესებულება ნელ-ნელა სხვის ხელში გადადის




№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

## დაუცველი გაგვხადეს და ახლა ჩვენს დაცვას იწყებენ

„ნაციონალური მოძრაობა" სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის პროექტის მონიტორინგს იწყებს.

მონიტორინგის ჯგუფს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი უხელმძღვანელებს.

ამის შესახებ პარტიის გენერალურმა მდივანმა დავით კირკიტაძემ ორგანიზაციის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, სადაზღვევო კომპანიები ბოროტად სარგებლობენ ამ პროგრამით, ისინი ცდილობენ, მოსახლეობას მისცენ ერთჯერადი დახმარება და სანაცვლოდ ვაუჩერები მიიღონ.

ინტერპრესნიუსი

◎ კიდევ ერთხელ ჩვენს დიდ სატკივარზე

# „შედრეკილ-შეშინებული" და „ნაზრახი სიცოცხლე"

*„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?"*

*შოთა რუსთაველი*

**დღევანდელ საქართველოში თვალშისაცემია შეშინებულ კაცთა სიმრავლე. ვაჟკაცობად ითვლება მლიქვნელობით მოპოვებული საამური სიმყუდროვე. ფართო სარბიელი აქვს „სიცრუესა და ორპირობას". მართლის მთქმელი ქარის წისქვილებთან მებრძოლის შთაბეჭდილებას სტოვებს.**

ქართველების უმრავლესობას ღირსების გრძნობა მხოლოდ სუფრაზე აქვს შემორჩენილი. უახლოეს მეგობარსაც არ ვაპატიებთ ოდნავ შებრუნებულ სიტყვას და მზად ვართ ანგარიში გავუსწოროთ ისეთ რამეზე, რასაც სუფრის გარეთ ყურადღებასაც არ მივაქცევდით. რეალურ ცხოვრებაში ნებისმიერ შეურაცხყოფას, აბუჩად აგდებას, ღირსების შელახვას, არაფრად ვაგდებთ და ისეთი პოზა გვიჭირავს, თითქოს რაც ჩვენს გარშემო ხდება, ვიღაცა უცხოს, ცხრა მთას იქით მცხოვრებს ეხებოდეს.

საქართველოში ნებივრობენ ნაადრევად „დაბრძენებული" ახალგაზრდები, რომლებიც ნათელი მომავლის სახელით ნერგავენ ძალადობას. მათი წარმოდგენით ადვილია თვალებში ნაცარშეყრილ ადამიანებზე ბატონობა. რატომ ცდილობენ მორჩილი ადამიანების გამრავლებას? ავიწყდებათ, რომ ჯაბანი ქვეყნისათვის სასარგებლო კაცად არასდროს არ ითვლებოდა. ძველ სპარტაში კაცი, რომელსაც მშიშარა შეერქმეოდა, თავს იკლავდა. ბრძოლის ველიდან გამოქცეულ მეომარს კაცური ღირსებები აყრილი ჰქონდა.

გაბედულებას პატივისცემის უმაღლეს საფეხურზე აჰყავს ადამიანი. ალექსანდრე მაკედონელმა მკაცრად მიმართა ბორკილდადებულ ინდოელ ფილოსოფოსებს, რატომ წააქეზეთ პოროსი საომრადო. ფილოსოფოსებმა უშიშრად უპასუხეს: ჩვენი სურვილი იყო პოროსი ისე ღირსეულად მომკვდარიყო, როგორც ცხოვრობდაო.

„უშიშარი ვითარცა უხორცო" — ეს ხატოვანი სიტყვები წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების" სამკაულს. ჩვენი მეფეები, დიდებულები თუ უბრალო ადამიანები თავს სწირავდნენ უშიშარის სახელის მოსაპოვებლად. ღვთაებრივი სხივი მოსავთ ცოტნე დადიანს, დიმიტრი თავდადებულს, თევდორე მღვდელს და სხვ. საქართველო უშიშარ გმირთა მხრებზე იდგა.

რატომ ექლევა დავიწყებას წარსული, უმწეო ბატკნის მდგომარეობაში რატომ ვარდებიან რაინდი ქართველთა ნაშიერები? რატომ გაუფერულდნენ ერის მამობაზე პრეტენზიის მქონე პირები? რატომ ხუჭავენ თვალს იმ უზნეობათა შესახებ, რაც ჩვენს გარშემო ხდება? რატომ დარჩნენ უმცირესობაში სულიერი კულტურის დამცველები?

ქართველები სეირის მაყურებლებს დავემსგავსეთ. სატელევიზიო არხები ხშირად აჩვენებენ ლეოპარდების ნადირობის სცენებს ანტილოპებზე. სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ანტილოპებს აქვთ საკმაოდ ბასრი იარაღი რქების სახით, რომლებსაც თითქმის ვერ იყენებენ. როდესაც ლეოპარდი მსხვერპლს საიმედო მხრიდან დაესხმება თავს და ძირს დასცემს, დანარჩენი ანტილოპები ნაბიჯსაც არ გადადგამენ თანამოძმის საშველად და შორიდან უცქერიან ორთაბრძოლას. ქართული საზოგადოებაც ანტილოპის მსგავსად ებრძვის წუთისოფელს. მას არ აღარდებს სხვისი სატკივარი და არ აინტერესებს რა ხდება მის გვერდით.

„ო, დრონი, ო ჩვეულებანი!" ქართულ სინამდვილეს ზეციური მანტიით გამოეცხადნენ რეფორმატორები. განსაკუთრებული ხმაურით გამოირჩევიან მეცნიერებისა და განათლების მხსნელები. ახალმოვლენილმა „მხსნელებმა" მინისტრ ა.ლომაიას რკინისებური შეუპოვრობით, მიწასთან გაასწორეს განათლება და მეცნიერება, გაანადგურეს ეროვნული ცნობიერების საფუძველი — სკოლა.

შეტევის მთავარი ობიექტი გახდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. ბრძოლას წინ უძღოდა ცილისმწამებლური ბრალდებების აზვირთება, რადგან ა. ლომაიას აზრით, სახელგატეხილი ალმა

იხ. 4 გვ.

◎ ჩავფიქრდეთ!

# ძნელია მუდამ ნგრევის მოლოდინში ყოფნა

***„ჭორი არს რა ჰამბავი გაისმას და ჰამბის მიმღები არა საცნაური იყოს და არც არავის ჰამბისა მის ჭეშმარიტება იცოდეს" — ასე განმარტავს სულხან-საბა ჭორს.***

ჭორია თუ მართალი, რა ელის მოზარდების დიდ საკრებულოს, საიდან მოდის იგი? უკვე მეხუთედ დაირხა ხმა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის შენობის გასხვისების თაობაზე, ეს გახმიანდა ტელევიზია „იმედის" არხზე. სასახლე გაიყიდება, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის წევრმა პაატა ჯიბლაძემ, — უახლოეს მომავალში ახალგაზრდობის სასახლე აღარ იფუნქციონერებს. თურმე ლეიბორისტულ პარტიას სანდო წყარომ აცნობა, რომ სასახლის დაფინანსება სექტემბრიდან შეწყდება, რაც მისი მუშაობის შეჩერებას გამოიწვევს და უკვე უფუნქციოდ დარჩენილი სასახლის შენობის გაყიდვა რეალური გახდება. პაატა ჯიბლაძისვე განცხადებით, თუ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვა უახლოეს მომავალში აქტუალური იქნება, ლეიბორისტული პარტიის წევრები საპროტესტო აქციას გამართავენ (ამ საქმეს მხოლოდ საპროტესტო აქცია უშველის?!ძ.

ჭორია თუ მართალი, ეს ხმა გავრცელებულია მოზარდების საზიანოდ, სასახლის პედაგოგების გულის გასატეხად, მშობლების გასაღიზიანებლად (ამ გაჭირვების ჟამს ამ ერთადერთ დაწესებულებაშია შესაძლებელი ცოდნის უფასოდ მიღებაძ.

ვინც სასახლის ცხოვრებას, მის შემოქმედებით მუშაობას იცნობს, იცის, რომ აქ თაობები ამკვიდრებდნენ სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში ცოდნის მიღების საუკეთესო ტრადიციებს, მან თანდათანობით არა მარტო დედაქალაქის, არამედ საქართველოს რეგიონების ახალგაზრდობა მიიზიდა.

...და, დგას სიმონსონის პროექტით აგებული შენობა საუკუნეზე მეტი ხანია რუსთაველის პროსპექტზე თავისი მშვენიერი დეკორატიული ბაღით; შენობა, სადაც 1918 წელს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა. 1937 წლიდან იგი ბავშვებს გადაეცათ. 1941 წლის 2 მაისს კი საზეიმოდ გაიხსნა. ამ დღიდან აქეთკენ მოზარდები (და არა მარტო ისინიძ განუწყვეტლივ ილტვიან. სასახლე, როგორც სკოლისგარეშე მუშაობის დიდი ცენტრი, ჯერჯერობით კვლავ ინარჩუნებს თავის პრიორიტეტს.

დღემდე დიდია მისი ურთიერთობა სკოლებთან. დიდი თუ პატარა, როგორც სალოცავი ტაძრისკენ, ისე მიიჩქარის სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებისკენ, კლუბებისა და სექციებისაკენ, ანსამბლებისა თუ იქ მოქმედ ბავშვთა გაერთიანებებისკენ.

...ძნელია მუდამ ნგრევის მოლოდინში ყოფნა. დაიღალნენ პედაგოგები, მშობლები იმაზე ფიქრით, რომ მოზარდებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი დაწესებულება ნელ-ნელა სხვის ხელში გადადის. ქალაქი ისედაც სავსეა ოჯახსა და სკოლას გამოქცეული ბავშვებით, ახლა მათ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს შეფარებულნიც უნდა მიემატნონ?



...პირველად 1970-იან წლებში რესპუბლიკის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელის პავლე გილაშვილის ენას წაცდენილმა სიტყვებმა ააფორიაქა საზოგადოება; ჩამოსული სტუმრების მიღება-გაცილებისათვის გვჭირდებაო ეს შენობა (ახლა არავინ იცის რა განთავსდება იქძ. მაშინ ჟიული შარტავამ აღიმაღლა ხმა — ეს არ მოხდება! რაც ბავშვებს ეკუთვნით, ხელს ვერავინ ახლებსო, ითქვა და ამით კიდევაც დაესვა წერტილი.

მეორედ გამსახურდიას მაამებლებმა გაავრცელეს ხმა. არც მაშინ ეწერა მას განხორციელება. თბილისის ომს სასწაულად გადაურჩა სასახლე, მას ტყვია არ გაკარებია...

მესამედ პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ახალ რეზიდენციადაც დაუპირეს გადაქცევა. მაშინაც უარი ითქვა.

სულ ახლახან მეოთხედ, ბალეტის სკოლად მოინდომეს მისი გადაკეთება. რა მოხდება მეხუთედ?

ვინც წარსულს ივიწყებს, მომავალი არა აქვსო, ნათქვამია. ჩვენს ბავშვებს (ეს მათ სჭირდებათძსახელმწიფო კონკურენტად არ უნდა ექცეს. პირიქით, თუ რაიმე სახსრები ვიშოვეთ, ამ სასახლეს უნდა დავახმაროთ, რათა ათასობით ბავშვი იმედგაცრუებული ქუჩაში არ დარჩეს.

ამ 65 წლის წინათ მოზარდებისათვის გადმოცემულ მოსწავლე ახალგაზრდობის დიდებული საკრებულო არ არის ჰაიჰარად ხელწამოსაკრავი საკუთრება, ის მომავალ თაობას ეკუთვნის!..

**ნათელა ფაილოძე**

◎ ინფორმაცია

## ამირან რობაქიძის მამას პოლიციელები სდევნიან

**ხელისუფლება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ მოკლულ ამირან რობაქიძის მამაზე, სოსო რობაქიძეზე უკანონო დევნას ახორციელებს.**

ამის შესახებ ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, რობაქიძეს ქუჩაში უნომრო მანქანებით დასდევენ და უთვალთვალებენ.

„ვაფრთხილებ ვანო მერაბიშვილსა და საქართველოს ხელისუფლებას, სოსო რობაქიძის დევნას თავი დაანებონ, ვიდრე ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩარეულან", — განაცხადა თავად სოსო რობაქიძემ.

სოსო რობაქიძის თქმით კი, მას საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი ოცეულის უფროსი, ვინმე დავით მჟავია უთვალთვალებს. ამირან რობაქიძის მამა მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დასვას დავით მჟავიას პასუხისმგებლობის საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

ინტერპრესნიუსი

● უნივერსიტეტში შემოფრინდნენ ისეთი უცხო ფრინველები, რომლებისთვისაც უნივერსიტეტი, კაზინო, სახინკლე თუ მომსახურების სფეროს სხვა სერვისები, ერთ სიბრტყეზე დევს




◉ კიდევ ერთხელ ჩვენს დიდ სატკივარზე

# „შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი სიცოცხლე“

(მესამე გვერდიდან)

მატერის ფეხქვეშ გაგება უფრო გაადვილდებოდა. იგი მოქმედებდა პრინციპით: დააბრალე, თავი იმართლოს. უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართეს შეურაცხყოფათა ტალღა. მრუდისა და მართლის გარჩევა არავის უცდია. ყველას ერთი საზომით განიკითხავდნენ.

დაწყებული რბევა-აოხრება უნივერსიტეტელების დიდმა ნაწილმა სხვის საქმედ მიიჩნია და მორჩილება, „შედრეკილ-შეშინებულობა“ გამოავლინა. უკანონობას „კანონიერი სახე“ მიეცა კონკურსში მონაწილეობის მიღებით. ბევრმა ცნობილმა მეცნიერმა ქედი მოიხარა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე და შრომით მოპოვებული სახელი უშრომლად შებღალა.

უნივერსიტეტის რბევის პროცესში ა.ლომაიამ და გ. ხუბუამ რეფორმისტული მოძრაობა შემოქმედებითად განავითარეს და დემოკრატიის ახალი, აქამდე უცნობი გაგება შემოგვთავაზეს. საუბედუროდ ჩვენს გარშემო ბევრი აღმოჩნდა ყრუ და ბრმა.

„განათლებისა და მეცნიერების მამების“ რიტორიკა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების შესახებ, ცრუ დაპირებაა უვიცობის გასაღრმავებლად. ისე ამაყად საუბრობენ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეზე, თითქოს ქართული მათთვის განვლილი ეტაპი იყოს. ამავე დროს, ცდილობენ ევროპა ისეთ აღთქმულ სივრცედ წარმოგვიდგინონ, რომელშიც შეღწევაც სამოთხეში შესვლას გაუთანაბრდება. და კიდევ, თავს იწონებენ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, თითქოს მსოფლიო მეცნიერების წინსვლა მათი დამსახურება იყოს. გვაყვედრიან, რომ მუხლჩაუხრელად იღვწიან ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ქადაგებენ განათლების უწიგნოდ მიღების შესაძლებლობას. ხშირად გვესმის, უნივერსიტეტის ფუნქცია კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდააო. გამოდის, რომ უნივერსიტეტი ადრე სხვა როლს ასრულებდა. ერთი განმარტონ, როგორ ესმით ცნება — კონკურენტუნარიანი. და რაც მთავარია, რატომ უნდა იყვნენ ქართველი სპეციალისტები უცხოეთში დასაქმებაზე ორიენტირებული? გვიქადაგებენ, უნივერსიტეტმა უნდა დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნაო. საქართველოს მწიგნობართუხუცესს სულიერება და ბაზარი ერთმანეთში აქვს არეული. სანამ ამის გამიჯვნა არ მოხდება, თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ სპასპეტ მაეჟანის სიტყვები, წარმოთქმული უდიდესი განსაცდელის ჟამს: „დაშთომილ ვართ ჩუენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი“.




განათლებისა და მეცნიერების „ამყვავებლების“ სიტყვებით, თურმე საქართველოში გატარებული რეფორმა ევროპელი სპეციალისტების დიდ მოწონებას იმსახურებს. გაუგებარია, რას თვლიან წარმატებად. გაოცებას იწვევს ერთი რეალობა: როგორ ხვდებიან თავისუფალი ევროპის შვილები იმ ფაქტს, რომ რეფორმირებულ ქვეყანაში პროფესორის თვიური სტიპენდია არის 40 ევრო, ხოლო მინისტრის ხელფასი აღემატება 30 პროფესორის თვიურ შემოსავალს. ამაზე ყურადღებას რატომ არ ამახვილებენ მხსნელად შერაცხული ჭკუის მასწავლებლები?

განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა (ბოლო დროს სპორტიც დაუმატესძ ქართველის საქმე არ არისო — გადაგვიწყვიტა ვიღაც გადამთიელმა და მისი სისრულეში მოყვანა დაავალა ყალბისმქნელთა ადგილობრივ ჯგუფს, რომელიც ერთგულად ასრულებს უძლეველი პატრონის მითითებას.

2006 წლის ზაფხულში უნივერსიტეტი პოლიციის კონტროლის ქვეშ მოექცა. შესასვლელში შეიარაღებული დაცვა ჩააყენეს, რათა „კომისარ“ ხუბუასათვის ევროპულ სივრცესთან მისაახლოებელ ბლეფზე მუშაობაში „ხულიგან პროფესორებს“ ხელი არ შეეშალათ. უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილი ორი ათასზე მეტი თანამშრომლიდან, კანონიერებისა და ღირსების დასაცავად რამდენიმე ასეული კაცი იდგა. შიშით შეპყრობილი უმრავლესობა, შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს მოვლენათა განვითარებას. დათრგუნულები ხავსს ეჭიდებოდნენ და თავდახრილები ელოდებოდნენ წყალობას უნივერსიტეტის მესაფლავეებისაგან. პროტესტი რომ გამოეთქვათ, „რეფორმატორთა“ თვალში მონის რეპუტაცია შეელახებოდათ? ევროპულ საგანმანათლებლო სივრცისაკენ ამხედრებულმა რეფორმატორებმა გამოცდილ და მცოდნე პროფესორ-მასწავლებლებს, გამოუცდელი და მცირემცოდნე, მაგრამ ხელისუფლების ანტიეროვნულ იდეებთან ახლოს მდგომი ახალგაზრდები ამჯობინეს. თაობათა ცვლა მსგავსი მეთოდებით არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა. ღრმად პატივცემულ „რეფორმატორებს“ შევახსენებდი დიდი დემოკრიტეს შეგონებას: „მოხუცს ახალგაზრდობა გამოვლილი აქვს, ახალგაზრდა მოხუცდება თუ არა, არავინ იცის. ამის გამო, არსებული სიკეთე ჯობს მოსალოდნელსა და უცნობს“.

უნივერსიტეტში ჩატარებული წმენდის მიზანია არსებული დონის დადაბლება. განვითარებადი ქვეყნისათვის ზედმეტი ფუფუნებაა განათლებული ახალგაზრდობა. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს განათლებისა და მეცნიერების დაკნინებით გამოწვეულ სიცარიელეს. ცალკე აღებული ყველა ბობოქრობს, მაღალფარდოვანი ტრაბახით ნაცარში ბღლვირს ადენს, მაგრამ ფაქტის წინაშე ბევრმა უკან დაიხია და მორჩილი უმრავლესობის ერთიან ტალღას შეუერთდა.

დრომ ურთულესი გამოცდა მოუწყო უნივერსიტეტის სტუდენტობასაც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდობამ საოცარი გულგრილობა გამოავლინა. როდესაც ლომაია-ხუბუას დუუმვირატმა სამეცნიერო საბჭოს პოლიცია დაუპირისპირა, სტუდენტობა არ დაინტერესებულა, თუ რა ხდებოდა. არანაკლებ შემაშფოთებელი იყო ის, რომ ახალი საქართველოს მომავალი, 300 ლარის საფასურად, შეუდგა ქალაქის ქუჩების დასუფთავების „პატრიოტულ“ საქმეს.

სიტყვით ყველაფერი შესანიშნავადაა, საქმით საით მივდივართ, პასუხის გამცემი არ ჩანს. სანამდე გაგრძელდება საჩვენებელი სარეკლამო სანახაობა? როდის გაეხსნება გზა ქართულ სულიერებას, რომელშიც შესუდრეს ევროპელმა „კეთილისმყოფელებმა“ ქართველთა მტერი ქართველების ხელით.

დროა გადაილახოს „ნაზრახი სიცოცხლის“ შეზღუდულობა. არ უნდა დასამარდეს თავისუფალი მოქალაქის უპირველესი მოვალეობა — ღირსების დაცვა. ყველა ხედავს და გრძნობს, რომ განუკითხაობით იდევნება ეროვნული სული, მაგრამ ხმას ერთეულები თუ იმაღლებენ. გაუბედაობა, როცა სიმართლე იჩაგრება, ვერ არის კაი ყმობის დადასტურება.

უნივერსიტეტში შემოფრინდნენ ისეთი უცხო ფრინველები, რომლებისთვისაც უნივერსიტეტი, კაზინო, სახინკლე თუ მომსახურების სფეროს სხვა სერვისები, ერთ სიბრტყეზე დევს.

საუკუნეთა განმავლობაში, მტრის მიერ დამონებულ საქართველოში კრთოდა სინათლის სხივი და, რაც მთავარია, ფასობდა სიტყვა და წიგნიერება. დღეს ყველაფერმა ფორმაც იცვალა და შინაარსიც. რატომ ასაღებენ შემთხვევითი ადამიანები თავიანთი მწირი ფანტაზიის ნაყოფს დიდ ეროვნულ საქმედ.

ვდგავართ და ვითმენთ. შეურაცხმყოფელი, აბუჩად ამგდები და ღირსების შემლახველი მურვან ყრუ, ჯალალედინი, შაჰაბასი თუ ქართველი იქნება რა განსხვავებაა? ობიექტური მსაჯული — ისტორია, მოგვიანებით იტყვის სიმართლეს.

**გრანი ქავთარია**

◉ ბუზღუნა ბერიკაცი

# რატომ „მიყარს“ „რუსთავი-2“...

**იმ ქვეყანაში, რომელსაც ჩაუქი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიმე ტელეარხიც უთუოდ უნდა გამოირჩეს სიჩაუქით. ასეთი ხვედრი „რუსთავი-2“-მა ირგუნა და თავისივე შეთხზულ-მოსროლილ-თავსმოხვეული ლოზუნგით „რატომ მიყვარს „რუსთავი-2“ აგერ, მესამედი საქართველო შემოიარ-შემოიგრიალა.**

კი ბატონო, ვისაც უყვარს, უყვარდეს, ბოლოს და ბოლოს სიყვარულიცა და სიძულვილიც ხშირად სუბიექტური, ინდივიდუალური და ნებაყოფლობითია. ჩემს სუბიექტურ თვალში, ყურსა და ცხვირში კი ამ ღონისძიებას პიარის მძაღე სუნი ასდიოდა, რაც პიარით, მართულ საზოგადოებაში სულაც არ არის გასაკვირი. ამიტომ ვაძლევ ჩემს თავს ნებას, რომ წინამდებარე წერილში იმაზე ვილაპარაკო, თუ **რად მიყარს „რუსთავი-2“**.

უწინარეს ყოვლისა იმად, რომ ასე დაუდევრად ეპყრობა და უღვთოდ ამახინჯებს მშობლიურ ენას (რაშიც არც სხვა ტელეკომპანიები ჩამორჩებიანძ; მერე იმად, რომ ასე დაუფარავად ეხახუნება და ეგლისება ხელისუფლებას (უფრო „თავაზიანადაც“ შეიძლებოდა თქმა...ძ, მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი აშკარა უმსგავსობას სჩადის. გახსოვთ, როცა „ვარდებისწინა“ ხანაში „რუსთავი-2“-ს სარევიზიოდ შეუგზავნეს ძალოვნები, რა ამბავი ატეხა და თბილისელთ საშველად როგორ უხმო? ახლახან რატომ არ გამოიდო თავი, გიორგი არველაძის მარჯვე ბიჭებმა რომ ასე დაუნდობლად „დაბომბეს“ და დაარბიეს, კოსტავას 14 — მორალურად, ზნეობრივად თუ მატერიალურად?

კიდევ იმად „მიყარს“ „რუსთავი-2“, რომ ფულადი შემოსავლის მოსაზიდად არცრას ერიდება და ურცხვად მართავს ისეთ ამორალურ, სასტიკ და დამამცირებელ შოუებს, როგორებიცაა ნაირნომრიანი „ჯეობარები“, გინდა საუკეთესო ბიზნესპროექტების ან თეატრის მსახიობის გამოსავლენი კონკურსები.

იმადაც, რომ ასე უსაზღვროდ ეფერება-გამოჰფენს საკუთარ საყვარელ სახეებს — პროფილში, ანფასში, მეოთხედ ბრუნში, დინამიკაში, სტატიკაში, ფურცლებით ხელში, მაისურებით ხელში — თითქოს უამისოდ ცოტას ჩანან ეკრანზე.

იმადაც, რომ დაქცეული, გაღატაკებული, დამშეული ქვეყნიდან დედამიწის რომელგინდა წერტილში არ მიავლენს თანამშრომელს — აფრიკის რომელიმე სირაქლემთსაშენში, ტაილანდის ერთ-ერთ ნიანგების ფერმაში, არქტიკის „პინგვინატურაში“, ვაშინგტონის თეთრი სახლის ბაღში, ამაზონიის ჯუნგლებში — როგორ, რა უფლებით ან რისთვის, ღმერთმა იცოდეს...

ჯერ წესია პიარი და მერე პიარია პიარი. ასეა ეს...

**თამაზ ებანოიძე**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

# მამული

● თრუსოს ხეობა ეს არის მთები, ჭიუხები, მთის ციცაბო ფერდობებზე დაკიდებული ბილიკები, შმაგი თერგი და მისი შენაკადები, წყაროები, მინდვრები და იალაღები



მყინვარწვერი

◎ ეს მშობლიური მთებია

# გასეირნება თრუსოს ხეობაში

**სხვას ვის უნდა ეთქვა, თუ არა გერმანელს: პირველად იყო საქმე. ზარე სამი ათეული წელია ლია გელაძე და თამაზ მაისურაძე ამ აზრს ბეჯითად მისდევენ და ერთგულობენ. მათი ცხოვრების წესი ჯერ საქმეა, მერე კი, როგორც თამაზ მაისურაძეს უყვარს თქმა, ისევ საქმე.**

**მე მათ თრუსოს ხეობაში შევხვდი.**

იდუმალებით მოცული ეს ხეობა ანდამატივით იზიდავს ადამიანებს. ადრე ზარე ორჯერ დავაპირე თრუსოს ხეობა მომევლო, მაგრამ გულისწადილი ვერც ერთხელ ვერ შევისრულე. ბოლოს ბედმა... ბავარიაში გამიღიმა.

გაზაფხულზე გერმანიის ამ მხარეში, დაბა იუგენდჰაუზში მოვხვდი. მასპინძელმა, მოყვარულმა მხატვარმა, მაშინ საქართველოში ტურისტული მოგზაურობისას შესრულებული ჩანახატები მიჩვენა. დარიალის ხეობა. გერგეტი. სტეფანწმინდა. ვარდისუბანი.

– ეს რაღაა? – ვკითხე ერთ ნახატზე.

– თრუსოს ხეობაა. ყოფილხართ იქ?

უხერხულად შევიშმუშნე, არა-მეთქი.

– აუცილებლად წადით, – მირჩია გერმანელმა, – მე შვეიცარიაც მინახავს და ბავარიაც მოვიარე, თავისი პირველქმნილი სილამაზით თრუსოს ხეობას ტოლი არა ჰყავს.

კმარა! ამ ზაფხულს თრუსოს ხეობაში აუცილებლად უნდა წავიდე...

– აი, აქ გააჩერე, – ვეუბნები მძღოლს.

ჩამოვედით კობში და ხელმარცხნივ ფართო შარას დავადექით. ხუთი კილომეტრი ასე ვიარეთ. შემდეგ გზა თანდათანობით დავიწროვდა და აღმართებიც დაიწყო. ვიღას აღარ დავემგზავრეთ ან ვინ აღარ შემოგვხვდა გზაზე! ჩეხები, პოლონელები, გერმანელები, ბულგარელები, ლიტველები... ზურგჩანთამოკიდებული სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ტურისტები გულდაჯერებით მიიკვლევენ გზას და მალიმალ გზამკვლევში იხედებიან, ამოწმებენ – მარშრუტს ხომ არ ავცდითო. ზოგს ყელის ტბა აქვს მოსანახულებელი, ზოგსაც ხოზის ქედის ძირში დაკარვება განუსაზღვრავს.

დრო იყო, საქართველოს ტურისტული თუ ისტორიული ძეგლების გზამკვლევები ორ – ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა. დრონი იცვლებიან. ტურისტული ცნობარ-რუკები ახლაც ორენოვანია – ქართულ-გერმანული ან ქართულ-ინგლისური.

ნახვამდის, რუსეთო, შენ ბევრი წყენა და ტკივილი დაგვიტოვე...

გზიდან ბილიკებზე გადავედით, შარაგზაც გათავდა და, აჰა, თრუსოს ხეობაც. თერგი კი არ მორბის, ღრიალით იკლებს იქაურობას. ეს ადგილები უნდა მოენახულებინა ჩვენს დიდებულ მგოსანს, გულიდან რომ ამოსკდომოდა: „წყალნი მთით დაქანებული ალმასებრ უფსკარულს ცვივიან"... მთების ართახებში გამოკრული თერგი გაზაფხულზე, თოვლი რომ დნება და ლონეც დევივით უათკეცდება, ტონიან ლოდებს მოაგორებსო, – მითხრა მოხევე გივი ღუდუშაურმა, ცხვარი რომ ეყენა თერგის მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე.

– რა ხანია მოვდივართ და ცხვარ-მეცხვარე ჯერაც არ შეგვხვედრია.

– ან კი როგორ შეგხვდებოდათ. მთა დაინგრა და გაჩანაგდა. ვიღაც არენდატორებმა ისე უკვალოდ გააქრეს ხევის სიმდიდრე, რომ დღეს ვეღარც ცხვარს პოულობენ, ვეღარც არენდატორებს. დრო იყო, ამ მთების კალთებზე, 150 ათასი სული ცხვარი დგებოდა. ახლა ყველაფერი თავიდანაა აღსადგენი... თითქოს ვითარებაც სასიკეთოდ იცვლება. ვნახოთ.

თრუსოს ხეობა ეს არის მთები, ჭიუხები, მთის ციცაბო ფერდობებზე დაკიდებული ბილიკები, შმაგი თერგი და მისი შენაკადები, წყაროები, მინდვრები და იალაღები. სოფლიდან სოფლამდე, უფრო სწორი იქნებოდა, ნასახლარიდან ნასახლარამდე გზას ისე გაივლი, სულიერი არავინ შეგხვდება. ამ ორმოციოდე წლის წინათ აქ ჯერ კიდევ ფეთქავდა სიცოცხლე. აი, თუნდაც, სოფელი აბანო. იგი თრუსოს ხეობაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, 2160 მეტრზე ზღვის დონიდან. ქართული ენციკლოპედია გვამცნობს, რომ „სოფელში არის კოლმეურნეობა (მეცხვარეობისძ, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო." აბანო იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მდიდარია მინერალური, მათ შორის თერმული სამკურნალო წყლებით, რომლითაც ადამიანები ძველთაგანვე სარგებლობდნენ. აქედან სოფლის სახელწოდებაც – „აბანო".

ერთ მინდორს გადაივლი, მეორე იწყება, მთები მთებს ენაცვლება. ცაში არწივი ბოინობდა და თავისი სამეფო-საბრძანებელს მაღლიდან ზვერავდა. ჩვენ კი მივდიოდით და ერთი სული გვქონდა, ვინმე შეგვხმიანებოდა, სადმე ძაღლს მაინც დაეყეფა. არსაიდან ხმა... გზაზე წყლები მოედინებოდა, ახლა არ იკითხავთ რა ფერის? ჟოლოსფერი, იისფერი, ჟანგისფერი... მინერალური და თერმული წყლების ეს ნაკადულები (ზოგს მძაფრი გოგირდის სუნი ასდიოდაძ ან მიწიდან ამოდის, ან მთების ძირში მოჩქეფს, გზაბილიკებს აფერადებს და მერე თერგში ეშვება. წყალს მიაქვს ჩვენი მთების სიმდიდრე...

სუბალპურ სარტყელში გავედით, სადაც სოფლები („ნასოფლარი" მძიმე სიტყვააძ ზღვის დონიდან 2000 მეტრზე და კიდევ უფრო მაღლა მდებარეობენ. სოფელი შევარდენი 2020 მეტრზეა, ზემო ოქროყანა – 2080, კეტრისი – 2220 მეტრზე. ამ სოფელში შევედით და გზაზე ახალგაზრდა კაცი გადაგვიდგა, გამოგველაპარაკა, ჩვენი სადაურობა გაიკითხა და შინ შეგვიპატიჟა. ასე აღმოვჩნდით თამაზ და ლია მაისურაძეების ფერმერულ ოჯახში. ამ გაზაფხულზე მაისურაძეები სტეფანწმინდის სიონიდან კეტრისში დროებით საცხოვრებლად გადმოვიდნენ, გადმოიყვანეს საქონელი, გადმოიტანეს ლოგინი, ქვაბები, ჯამ-ჭურჭელი, სადღვებელა და სხვა საჭირო სამეურნეო საგნები, ჩასახლდნენ ერთ მიტოვებულ სახლში, შეათეთრეს, ეზო შემოღობეს და საქმიანობასაც შეუდგნენ. ოჯახი ახალგაზრდულია, ცხოვრებისეული ენერგია და ხალისი – ღმერთმა ყველას მისცეს.

– ჩვენი სამუშაო დღე 18-20 საათს გრძელდება. დღიურად 160 ლიტრამდე რძეს ვწველით, – გვითხრა თამაზის მეუღლემ ლია გელაძემ, – ვდგებით დილის 4 საათზე, მოვწველით ძროხებს და ნახირი გზაზე გაგვყავს. საქონელი თავისით დადის საძოვარზე სახლიდან ორისამი კილომეტრის მოშორებით. თავად ირჩევს მინდორს სადმე მდინარესთან ახლოს და მთელი დღე იალაღზეა.

მაისურაძეებს 76 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ, აქედან 25 სული მეწველი ძროხაა. საღამოობით ნახირი რძით დაბერილი ცურებითა და ყუათიანი საკვებით გამაძღარი, ბღავილით ბრუნდება შინ. ლია გელაძეს უკვე მომზადებული აქვს ვედროები, ქვაბები, საწურები, შეშაც იქვეა ღუმელის დასანთებად.

– აქ მარტო ცხოვრობთ?

– რატომ მარტო? ასიოდ მეტრში სასაზღვრო დაცვის პოსტია, ხევიდან ჩვენსავით რამდენიმე ოჯახია გადმოსული და აგერ, მეზობლად ცხოვრობენ. სექტემბრის ბოლომდე აქ ვიქნებით, მერე კი ისევ სიონში დავბრუნდებით, რომ გაისად ისევ ამოვიდეთ.

რძის წარმოების, ყველის ამოყვანის, დღვების, კარაქისა და არაჟანის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს წარმატებით უძღვება ოჯახის დიასახლისი. თივის დამზადება კი მამაკაცების საქმეა. თამაზ მაისურაძეც ვაჟიშვილებთან ცეზართან და დემურისთან ერთად დღემუდამ სათიბშია – საკვებს ამზადებენ.

– სექტემბრის ბოლომდე 20 მანქანა თივას გავაგზავნით სიონში, ჩვენში გრძელი ზამთარი იცის – ამბობს თამაზი.

ნამეტ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს კი ოჯახი ბაზარზე გაიტანს, თავისთვისაც დაიტოვებს და თბილისში ქალიშვილებსაც გაუგზავნის. ახლახან მესამე შვილიშვილი შეეძინათ – ლუკა. თრუსოს ხეობაში დამზადებული კარაქი და ხაჭო პატარას ძალებს შემატებს და მალე დააავაჟკაცებს.

მასპინძლებს დავემშვიდობეთ. გზაზე ნახირიც გამოჩნდა. ჩამავალი მზის სხივებზე ათასფრად ბრწყინავდა თრუსოს ხეობა. უკან, კობისკენ, გრძელი და მძიმე გზა გველო, მაგრამ ამაღლებულ განწყობილებაზე ვიყავით: გავიცანით ლია და თამაზ მაისურაძეების მოჭირნახულე და მშრომელი ოჯახი. გიხარია კაცს, როცა ხედავ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობის სადავეები ასეთი ადამიანების ხელშია.



გერგეტის სამება

**გურამ ვაშაკიძე**

◎ ინფორმაცია

## რუსებმა დაგვბომბეს – ხორვატები იძიებენ

**ეუთოს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი, ხორვატიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიომირ ზუზული გუშინ თბილისში ჩამოვიდა.**

ხორვატი დიპლომატი 6 აგვისტოს წითელუბნის დაბომბვის ფაქტის გამოძიებაშია ჩართული.

წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს შემდეგ მიომირ ზუზული მოსკოვში გაემგზავრება და წითელუბნის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით რუსული მხარის არგუმენტებს მოისმენს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ დედოფლისწყარო

## სისუფთავე – ცხოვრების წესად

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეიქმნა ახალი სამსახური შპს „სერვისი-2007" მუნიციპალურ ქონებაზე, რომლის მიზანი დასუფთავებაა: ნაგვის ნარჩენების შეგროვება, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ტრანსპორტირება და განთავსება. კომენტარი ვთხოვეთ „სერვისი-2007"-ის მთავარ ინჟინერს, ბიძინა პაპაშვილს.**

მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ლეკიშვილმა უშუალოდ „სერვის-2007"-სთვის გადასაცემად შემოიყვანა ორი ნაგვისმზიდავი სპეციალური მანქანა და 200 ნაგვის ბუნკერი (ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს უპრეცედენტო შემთხვევააძ, რომლებიც მოემსახურება ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფლების წითელწყაროსა და ჯაფარიძის ცენტრალურ და მათ შემაერთებელ ქუჩებს, უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის გამგებელი კიდევ ორი ერთეული ახალი თვითმცველისა და სარწყავი წყლის ავტომანქანის შეძენას გვპირდება, – გვითხრა ბიძინა პაპაშვილმა.

„სერვისი 2007", რომელიც სულ ორი კვირაა მოქმედებს, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, ქალაქს აშკარად დაეტყო მათი ძალისხმევა ქუჩების სისუფთავეზე.

როგორც სერვისის დირექტორმა გიორგი ბენაშვილმა აღნიშნა, კადრი საკმაოდ გაახალგაზრდავებულია. 16 მეეზოვე, 8 მტვირთავი, 2 მძღოლი ყოველდღიურად ზრუნავს ქალაქისა და სოფლების ქუჩების კეთილმოწყობილებასა და დასუფთავებაზე. ამ სამსახურის მუშაობით კმაყოფილია მოსახლეობა, სისუფთავე ხომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი ატრიბუტია.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

◎ ინფორმაცია

## დააკავეს მებაჟეები

**შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ საბაჟო „აღმოსავლეთის", კერძოდ საბაჟოგამშვები პუნქტ „გუგუთის" სამი თანამშრომელი დააკავა.**

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტიდან იტყობინებიან რომ, ნუგზარ ექვთიმიშვილმა, გიგა გრიგოლიამ და ალექსანდრე ქევხიშვილმა სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო საზღვარზე ქვამარილით დატვირთული ავტომანქანა „კამაზი" გამოატარეს, რომელზეც 20 ტონა არაიოდიზირებული მარილი იყო განთავსებული.

**ინტერპრესნიუსი**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

# ვა, სოფელო...

● ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბენდუქიძემ და ხევიაშვილმა (მაშინდელმა აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემძ, თავიანთი მიზნისთვის რომ მიეღწიათ, გაავრცელეს ხმა, თითქოს მიწის კადასტრი დასრულებულია და რომ მას მხარს თვით კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე უჭერს, რაც მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა



◎ ინფორმაცია

## იმპროვიზებული აქცია-ვაჭრობა მერიასთან

**თბილისის მერიასთან მშრალი ხიდის გარემოვაჭრეთა აქცია გაიმართა.**

აქციაზე პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია და „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის" ხელმძღვანელი გიორგი ლალიძე იმყოფებოდნენ.

მათი ინიციატივით მერიის წინ გაიმართა იმპროვიზირებული საპროტესტო აქცია-ვაჭრობა, რათა მერიის წარმომადგენლებმა დაინახონ, რომ ეს ხალხი ნამდვილად ოჯახიდან გამოტანილი ნივთებით ვაჭრობს და ეს მათი თვითგადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

გიორგი ლალიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მერია არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და მოვაჭრეებს მშრალ ხიდთან ვაჭრობის უფლებას არ მისცემენ, აქცია უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

აქციის მონაწილეები მეგაფონით სკანდირებდნენ: „გამოდით, გვიშველეთ, არ დაგვიშლებით". ისინი თბილისის მერთან შეხვედრას მოითხოვდნენ.

ამის შემდეგ თბილისის მერიის წინ მიმდინარე საპროტესტო ვაჭრობა-აქციაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოჩნდნენ.

მათ აქციის მონაწილეებისგან მოითხოვეს, აელოთ ნივთები, რომლებიც მათ იმპროვიზებულ ვაჭრობაზე ჰქონდათ მიტანილი.

ამ ფაქტმა გარემოვაჭრეების აღელვება გამოიწვია. ისინი პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობას უწევდნენ და არ სურდათ, ნივთების ალაგება და ვაჭრობის შეწყვეტა.

თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი მერიასთან მიმდინარე აქციის ორგანიზატორებს, „ქართული დასის" ლიდერს ჯონდი ბაღათურიასა და „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის" ხელმძღვანელს გიორგი ლალიძეს შეხვდნენ.

სამსახურის წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეთა მოთხოვნების განსახილველად დრო ითხოვეს.

როგორც ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღებული სათანადო გადაწყვეტილება, აქციებს არ შეწყვეტენ. მისივე განცხადებით, ხელისუფლება ვალდებულია, მშრალ ხიდთან გარემოვაჭრეებს ვაჭრობის ნება კვირაში ორი დღე — შაბათ-კვირას მაინც დართოს.

ამასთან, ბაღათურიამ აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან უკვე გადადგმულია კონსტრუქციული ნაბიჯები, რაც პროგრესად უნდა ჩაითვალოს.

ასევე, მან მოუწოდა აქციის მონაწილეებს, ხუთშაბათს 17.00 საათზე გამოცხადნენ პარლამენტის წინ საპროტესტო აქციაზე. მანვე დასძინა, რომ უახლოესი ორი დღის განმავლობაში თბილისის მერიის გადაწყვეტილების კონტურები უკვე გამოიკვეთება.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პრობლემა

# მართლა იყიდება საქართველო?!

**საქმე ეხება საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში ცვლილებების შეტანას, რაც დღემდე აკრძალული იყო. ამასთან, მთავრობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე მიყიდვასაც გეგმავს. როგორც გაირკვა, პარლამენტში ამ კანონპროექტს ბევრი ეწინააღმდეგებოდა. მათ შორის იურიდიული და აგრარული კომიტეტების თავმჯდომარეები.**

**— საქართველოში, ამ ეტაპზე, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეს პრინციპი მიუღებელია. მიწის შეძენის უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს , — აცხადებს ლევან ბეჟუაშვილი, — ამ საკითხზე ჯერჯერობით მორატორიუმი უნდა გამოვაცხადოთ.**

**პოზიციას არც ედვარდ სურმანიძე თმობს: — სამწუხაროდ, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ამ ცვლილებაში საფრთხეს რომ ვერ ხედავს, ეს, ჩემი აზრით, მისი პრობლემაა და სხვა არაფერი.**

**მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია ხორციელდება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.**

**ამ კანონში მითითებულია, თუ რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო მიწა არ ექვემდებარება პრივატიზაციას. გამოყოფილია ცხრა ჯგუფი, კანონპროექტში კი ეს კატეგორიები არეულია, რის შედეგადაც ბევრი კატეგორია საერთოდ დაკარგულია. ისმება კითხვა: რატომ? ეს უდავოდ მიანიშნებს, რომ ჩვენი მთავრობა საძოვრების, პირუტყვის გასარეკ და ბევრი სხვა დანიშნულების მიწის პრივატიზაციას გეგმავს, რომელიც სოფლისა და გლეხკაცისათვის ყოვლად დაუშვებელია, რადგან მიგრაციას გამოიწვევს, გლეხი იძულებული გახდება სოფელი მიატოვოს, ისედაც ხომ დაცარიელებულია უმეტესობა...**

**როგორც გაირკვა, აღნიშნული კანონპროექტი ბენდუქიძის ეგრეთ წოდებული „ჯგუფის" მიერ მომზადდა, მაგრამ პარლამენტში გიგა ბოკერიას ინიციატივით შევიდა (ეგონათ, ალბათ, ასე უფრო გაიტანდნენძ, მაგრამ აგრარულმა კომიტეტმა დაიწუნა, როგორც ჩანს, საკითხი მათთან არ იყო შეთანხმებული და მათი გვერდის ავლით, ჩუმად მოამზადეს. ამიტომაც პროექტი უკან გაითხოვეს. ახლახან იგივე პროექტი უკვე მთავრობის სახელით შევიდა პარლამენტში, უფრო სწორი იქნება თუ დავწერთ — „შეაგდეს", მაგრამ პარლამენტმა არც ის განიხილა და ისიც უკან დააბრუნა განუხილველად.**

**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით მთავრობის პოზიცია გასაგებია — მას სურს ქვეყანაში ინვესტიციები მიიზიდოს და დამბანდებლები კანონიერ საგადასახადო რეჟიმში მოექცეს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელზე მიყიდვის შემთხვევაში მას მიწის მემკვიდრეობით გადაცემის უფლებაც ექნება. თუ ამ კატეგორიის მიწებს ხელაღებით უცხოელს მივყიდით, ამით ქვეყნის სოფლის მეურნეობა დიდ ზიანს მიიღებს.**

**არსებული კულუარული ინფორმაციით, ამ საკითხზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი პირადად ელაპარაკა პრეზიდენტ სააკაშვილს, რის შედეგადაც მოხერხდა კანონპროექტის უკან დაბრუნება, მით უმეტეს უმრავლესობის ბევრ წარმომადგენელსაც აღნიშნული პროექტი არ მოეწონა. ეს ახლა გაიმარჯვა მართებულმა აზრმა, მაგრამ რა მოხდება სექტემბერში, არავინ უწყის.**

**ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თენგიზ ჩხეიძეს.**

— წლები გავიდა, რაც იმის თაობაზე ვლაპარაკობ, რომ ვიდრე არ დავამკვიდრებთ და კანონმდებლობაში არ დავაფიქსირებთ აგრარული წყობის თანამედროვე ფორმებს, მიწის საკითხებზე მომუშავე თანამედროვე ინსტიტუტს, არ ჩავატარებთ მიწების სრულ ინვენტარიზაციას, არ ვსრულყოფთ კადასტრის მონაცემებს, საკუთრების სუბიექტებზე არ დავადგენთ საზღვრებს და არ გავცემთ სათანადო დოკუმენტებს, დაუშვებლად მიმაჩნია ადგილ-მამულის დაგირავებისა და მიწის ყიდვა-გაყიდვის გაგრძელება, რადგან, ფაქტობრივად, ეს იქნება არაკანონიერი, არაცივილიზებული, არა პრივატიზაცია, არამედ სპეკულაცია, რაც სახელმწიფოსა და ხალხს ვნების მეტს არაფერს მოუტანს.

**— გამოდის, რომ ხელისუფლებას, უპირველესად კი, წინანდელს მიწის პრივატიზაციამდე არავითარი წინასწარი სამუშაოები არ უწარმოებია?**

— არავითარი, ჩამოდიოდნენ უცხოელები, თითქოს რაღაც დოკუმენტებს ჰქმნიდნენ, გამოიყოფოდა გრანტებიც, მაგრამ საბოლოო შედეგი ნულოვანი გამოდგა. რა დოკუმენტსაც იღებდნენ, იმასაც ბოლომდე არ ასრულებდნენ. მაგალითად, 2003 წელს საქართველოს მაშინდელმა პარლამენტმა მიიღო კანონი „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ". ამ კანონის მიხედვით უნდა დადგენილიყო, თუ რა რაოდენობის მიწებია დამეწყრილი, გაუდაბნოებული, დამლაშებული, დაჭაობებული, ეროზირებული, ჰუმუსგამოცლილი, ჩამორეცხილი და სხვა. მშვენიერი, საქმიანი კანონია, მერედა რა, ვინმემ წაიკითხა ის? არავინ, არც ცხოვრებაში განხორციელებულა, ამ საკითხების გა-



სარკვევად თავი არავის შეუწუხებია, არ ჩათვალეს მიზანშეწონილად.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბენდუქიძემ და ხევიაშვილმა (მაშინდელმა აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემძ, თავიანთი მიზნისთვის რომ მიეღწიათ, გაავრცელეს ხმა, თითქოს მიწის კადასტრი დასრულებულია და რომ მას მხარს თვით კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე უჭერს, რაც მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა, პატრიარქმა თვითონ მიგვითითა ბიბლიაზე, სადაც უფალი გვიკრძალავს მიწის გაყიდვას.

ვიმეორებ — „კანონი მიწის პრივატიზაციის შესახებ" უმიწაწყლოდ და უმუშევრად ტოვებს ჩვენს გამრჯე გლეხობას. იგი შეუქცევად მიგრაციას გამოიწვევს, ამიტომ აუცილებელია მისი საფუძვლიანი კორექტირება, მით უმეტეს დღეს, როცა სულ სხვა შეფერილობითა და განწყობით ხდება ტერიტორიების, მიწების, შენობებისა და მასზე დამაგრებული მიწების ყიდვა-გაყიდვა. ახლანდელ ხელისუფლებას კიდევ უფრო დიდი მადა უჩნდება, ცდილობენ დააკანონ საძოვრების, წყალსაცავების, თბილისს შემოერთებული სოფლების კუთვნილი მიწების, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების ხელაღებით გასხვისება. გლეხკაცს აღარც მიწა დარჩება და აღარც სამუშაო, მას აღარაფერი რომ არ დარჩება, მიატოვებს სოფელს და ისიც სხვებივით ჩამოვა ქალაქში. განა ეს სჭირდება ერს? ისედაც დემოგრაფიული მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ხომ კატასტროფულ ზღვარზეა მისული...

**— დიახ, ბევრმა მიატოვა სოფელი. გლეხი შიშველი ხელით ვერ მოერია თავის მარჩენალ მიწას, რადგან გაუძვირეს ტრანსპორტი, საწვავი, შხამქიმიკატები, სარწყავი წყალი და ბევრი სხვა. გლეხს საბრუნავი საშუალება აღარ აქვს, რასაც ხარჯავს, იმასაც ვერ იღებს. ამბობენ, წლეულს, კახეთში ხორბლის კარგი მოსავალიაო. ნახეთ, თუ გლეხს მისი გასაღება არ გაუჭირდება. რატომ? შემოტანილი უფრო იაფი ეღირება და იმიტომ. ხომ არ გგონიათ, ხარისხით უცხოური სჯობს ჩვენსას? არა, მაგრამ ფქვილის მწარმოებლები უფრო იაფს იყიდიან, ვერც იმათ გაამტყუნებ. ამ საკითხზე რას იტყოდით? მიწის პრივატიზაციამ არ გაამართლა?**

— ამ სახით ჩატარებულმა პრივატიზაციამ არ გაამართლა. მიზეზი? მიზეზი აკი მოგახსენეთ, სოფლად რაც კი რამ ფასეული იყო, ტექნიკური საშუალებები მიწის ჩათვლით სოფლის ბოზოლებმა და ერთმა მუჭა მაღალჩინოსნებმა ჩაიგდეს ხელში. ამიტომ დარჩა გლეხი შიშველი ხელებით, მას არავინ ეხმარება მიწის დამუშავებაში, მოსავლის

● იმასაც კი მივაღწიეთ, რომ ნაჭარბი ენერგია მეზობელ ქვეყნებში გავიტანეთ საექსპორტოდ



ალება-რეალიზაციაშიც კი, ზოგიერთებს სოფლად „მოურავებიც" კი ჰყავთ თავიანთ უკანონო მამულებში:

ამიტომ ვითხოვ მიწის პრივატიზაციის შესახებ კანონის რევიზიას და, უპირველესად, რესტიტუტის შესახებ კანონის მიღებას.

**— ეს კანონი რას გულისხმობს? ისე, კანონები არ გვაკლია...**

— რას გულისხმობს და სახელმწიფო მიწების, ქონების დაბრუნებას. აკი მოგახსენეთ, კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს 5,6,10 და 20 ჰექტრობით აქვთ მიწა მიტაცებული დაკანონებული, ჩვენი გლეხობის დიდ ნაწილს — ან ნახევარი, არ ერთი ჰექტარი. განა ეს საქმეა?

**— ასახელებთ მაღალჩინოსნებს?**

— ყველა დონეზე ვასახელებ, მაგრამ მერე რა, თქვენ შედეგი მითხარით. ხევიაშვილმა ჩვენს კრიტიკას ასე უპასუხა, — კარგი იყო საფრანგეთში ფრანგებმა ლევილი რომ მოგვყიდესო. მან უბრალოდ არ იცის ამ მიწის ყიდვის ისტორია. ქართველ მეწვევიკებს უარი უთხრეს ლევილის მიყიდვაზე სწორედ იმის გამო, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ. ამიტომ ნოე ჟორდანიამ მოძებნა ფრანგი ქართველი თავადი ჯაყელი, რომლის სახელზეც გააფორმეს პირველად ალნიშნული მიწა და შემდეგ გადმოაფორმეს.

პრეტენზია მაქვს ოპოზიციასთანაც, რადგან არავინ ხმას არ იღებს მიწა-წყლის უცხოელზე მიყიდვის გამო.

ჩინელები სომხეთში გამოჩნდნენ, გახსნეს იქ მაღაზიები, მაგრამ არავინ შედიოდა საქონლის საყიდლად, ამის გამო აიკრეს გუდა-ნაბადი და საქართველოში ჩამოვიდნენ, აქ ადვილად იშოვეს ნავსაყუდელი. ერთი ახალგაზრდა ვნახე ამას წინათ, ბაზარში ადგილი ჰქონდა ალებული და წვრილმანი საქონლით ვაჭრობდა. ახლა მის ადგილზე ჩინელს გაუხსნია მაღაზია, რადგან ფული აქვთ, მათ ხომ სახელმწიფოც ეხმარება, ოღონდ სხვის მიწაზე დამკვიდრდნენ და აქ იყოლიონ რამდენიც უნდა იმდენი შვილი.

აქვე მინდა ჩემი უკმაყოფილება გამოვთქვა „ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან" დაკავშირებითაც. ჩემი აზრით, ეს დოკუმენტი კი არ იცავს, პირიქით, უხეშად არღვევს მას?

**— კერძოდ?**

— ამის მკაფიო მაგალითია სოფელ დილმის და არა მარტო ერთი-ორი სოფლის გაუქმება. სოფელ დილომში 14 ათასი კაცი ცხოვრობს. აქვთ რამდენიმე სალოცავი, საქვალე, ჰყავთ საქონელი, სასათბურე მეურნეობა, სახნავ-სათესი. ვინც უნდა იყო შენ, არ უნდა ჰკითხო მოსახლეობას უნდა მას სოფლის გაუქმება და გაქალაქება? ხომ უნდა დაეკითხო? განა ეს არის „უსაფრთხოება"?

**ესაუბრა**
**ნაზი იმნაიშვილი**

⊙ გიხაროდენ

# ჩვენ ელექტროენერგიის ექსპორტიორები ვართ?

**ვართ, აბა არა ვართ? გასკდნენ შურით ჩვენი აუგისმსურველნი, რომელთაც ეგონათ, რომ ენერგოკრიზისისგან ვერასდროს გამოვძვრებოდით და მარად უკუნეთ სიბნელეში ჩავიხრჩობოდით. წურას უკაცრავად! (მაპატიოს პრეზიდენტმა, რომ მისი საყვარელი გამოთქმა მოვიშველიქ რალაც სამ წელიწადში ჩვენ არა მარტო შევძელით წინა ხელისუფლე-**



**ბის უნიათობით ლაფში ჩაფლული ურმის ამოთრევა და უშუქობით გაწამებული ხალხის ელექტროენერგიით დაკმაყოფილება, იმასაც კი მივაღწიეთ, რომ ნაჭარბი ენერგია მეზობელ ქვეყნებში გავიტანეთ საექსპორტოდ.**

თანაც რომელ ქვეყნებში, არ იკითხავთ? ერთი იმათგანი ხომ თავად რუსეთია, რომლის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული მთელი საქართველოს მოსახლეობის დენით უზრუნველყოფა. ამას ემატებოდა ბუნების კაპრიზები — თოვლი, ქარი, ნიაღვარი, რომლებიც წარამარა აზიანებდა კავკასიის ელექტროგადამცემ ხაზს და ქვეყანა მთლიანად წყვდიადში ეფლობოდა.

მორჩა, დამთავრდა ეს ყველაფერი. წელს პირველად საქართველოს ენერგოსისტემა 450 მეგავატი ელექტროენერგიის ექსპორტს უკვე რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში ახორციელებს. აქედან 250 მეგავატი რუსეთის სამხრეთ ნაწილს მიეწოდება. თანაც ნახეთ რა ჭკვიანურად? — ექსპორტზე გაცემული ელექტროენერგია ზამთრის პერიოდში საქართველოს კვლავ უკან დაუბრუნდება.

დენი კი, მაგრამ ისეთებიც მოიძებნებიან საქართველოში და მის გარეთაც, რომლებსაც ამ წარმატებათა ფონზე მთავრობის საგინებლად ენა მაინც უბრუნდებათ. ასეთებს ქვეყნად რა გამოლევს, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ და რამდენიც მოესურვებათ. ჩვენ მთავრობას თუ ამდენის გაკეთება შეძლო, იმდენი ჭკუა კი აქვს, მათი აზრი საერთოდ არ მოისმინოს და, თუ საჭირო გახდა, ფეხებზეც დაიკიდოს.

მე შენ გეტყვი, საამისოდ მთავრობას გამოცდილება შემოაკლდება ან ჩვენ მაგალითის ძებნა გაგვიჭირდება. განსაკუთრებით ახლა, როცა ქვეყნის სიმდიდრე და რესურსები, კულტურის ძეგლები, კერძო ნაგებობები და სხვა წალმა-უკუღმა იყიდება. ამის თაობაზე ხალხმრავალი აქციებიც ეწყობა, საჩივრებიც იწერება და სასამართლოებიც იმართება, მაგრამ მთავრობა რის მთავრობაა, თუ ქვეყნის აღმშენებლობის გზას გადაუხვევს და მუცლით მეზღაპრეთა ღავღავს აჰყვება.

არ იფიქროთ, მე გადავუხვიე თემას — ეს ყველაფერი სწორედაც დენთან დაკავშირებით გამახსენდა. ზოგიერთებმა, რომ გაიგეს მთავრობას ელექტროენერგია საექსპორტოდ გააქვსო, უმალ ჭიტლაყები შეყარეს: ხალხო, არ დაიჯეროთ, რომ დენი მოგვჭარბდა და იმიტომ გააქვთ სხვა ქვეყნებში, უბრალოდ, ჩარჩობას არიან მიჩვეული და რაც აქვთ, მარტო იმას კი არა, რაც არა აქვთ, იმის გაყიდვასაც მიჰყვეს ხელიო.

ეგრეა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი— სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო. ბენდუქიძეს რომ თავის დროზე ბიზნესის ნაცვლად ანდაზები ესწავლა, ახლა სახელიც მთელი ექნებოდა და თავიც, მაგრამ რაღა დროს. ხალხის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ბევრმა არც იცის გილაური ვინ არის და დენის გაყიდვასაც ამ საქმეში სრულიად უცოდველ ბენდუქიძეს აბრალებს.

გილაურს, რა თქმა უნდა, უმსხვილესი კონკურენტის (ბენდუქიძის სახითქ წარმოდგენაც არ სურს და რაც ძალა შესწევს, ელექტროინდუსტრიას აწვება. 1350 მეგავატი, რასაც ქვეყნის ჰესები დღეს გამოიმუშავებენ, ბუნებრივია, მინისტრს ეცოტავება და ახლო მომავალში ამ რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას ვარაუდობს. მარტო ორ ახალ, 100-100-მეგავატიანი სიმძლავრის ჰესს ჩეხური კომპანია „ენერგოპრო" და რუსული „ინტერრაოეესი" ააშენებენ. ეს ის რუსული კომპანია გახლავთ, რომელიც „თელასს", მე-9 და მე-10 ენერგობლოკებს, აგრეთვე ჰესებს „ხრამი-1" და „ხრამი-2"-ს ფლობს. მხარეებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ელექტროენერგიის ტრანსპორტირებას, გაყიდვას, ავარიების დროს კი ურთიერთდახმარებას ითვალისწინებს.

იხ. 9 გვ.

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

⊙ ქალთა ტრენინგი

# დედოფლისწყაროელები კმაყოფილი არიან

**დედოფლისწყაროს „ქალთა ცენტრის" პროგრამა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა. ამ პროგრამის მიზანი იყო დედოფლისწყაროში მცხოვრები სხვადასხვა განვითარების და მდგომარეობის მქონე ახალგაზრდა ქალების განათლება, გააქტიურება და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.**

ცენტრის საქმიანობამ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში აქტიურად ჩაერთნენ სოფლებში მცხოვრები ქალებიც. პროექტი რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და თბილისიდან ჩამოსული მწვრთნელები და სპეციალისტები დედოფლისწყაროელი ქალბატონების გააქტიურებასა და განათლებაზე ზრუნავდნენ. საგულისხმოა, რომ ცენტრში გაწევრიანება და ტრენინგების გავლა ადგილობრივებისთვის უფასო იყო, რითაც სოციალურად დაუცველ ქალბატონებსაც მიეცათ ტრენინგების გავლის საშუალება.

თავდაპირველად ბიზნეს-დაგეგმარების ტრენინგები ჩატარდა, რომელსაც მწვრთნელი რუსუდან შერმადინი და იურისტი გიორგი მაღრაძე უძღვებოდნენ. მათ ცენტრში გაერთიანებულ დაინტერესებულ ქალბატონებს ბიზნესის არსი გააცნეს. ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეების მიერ დაიწერა რვა ბიზნეს-იდეა. დედოფლისწყაროელმა ქალბატონებმა ასევე სამი სპეცპროექტი განიხილეს. გაეცნენ სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულ მეთოდებს და დაურიგდათ საინფორმაციო ფურცლები.

**პროექტის მნიშვნელობაზე „ქალთა ცენტრის" ხელმძღვანელს ნათია ჯიყაშვილს ვესაუბრეთ:**

— მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა მათგანს ეგონა, არაჩვეულებრივი ბიზნეს-იდეა მაქვსო, რომლის განსახორციელებლად მხოლოდ ფული იყო საჭირო, ჩვენთან გავლილი ტრენინგების შემდეგ მიხვდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია საქმის სწორად დაგეგმვა, წარმატებით დაგეგმილი საქმიანობის ცხოვრებაში განხორციელება და ფინანსების მოძიება. ასევე, საინტერესო იყო, რომ ციცო მანგოშვილის და მარი კრაწაშვილის ბიზნეს-გეგმით ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები და საგადასახადო ინსპექციის სამმართველოს უფროსი დაინტერესდნენ და დახმარება შესთავაზეს, — ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

ადგილობრივების განსაკუთრებული ინტერესი ფსიქოლოგიურმა ტრენინგებმა გამოიწვია, რის გამოც ტრენინგები განსაზღვრულზე მეტ ხანს გაგრძელდა. ტრენინგებს, რომელიც დედოფლისწყაროში რამდენიმე თვის განმავლობაში ინტენსიურად იმართებოდა, თბილისიდან ჩამოსული ფსიქოლოგთა ჯგუფი უძღვებოდა. ისაუბრეს ჯანსაღ ოჯახურ ურთიერთობებზე, ოჯახურ ბედნიერებასა და მეუღლეთა უფლება-მოვალეობებზე, მათ პასუხისმგებლობებზე. სწორი წარმოდგენა შეექმნათ იმის თაობაზე, თუ რა არის სიყვარული და მოჭარბებული ძალადობის ფონზე რა ფუნქცია აკისრია ოჯახს საზოგადოებაში.

მონაწილეებს შორის იყვნენ ჯანმრთელი, ეკონომიურად ძლიერი და განათლებული, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის მქონე ქალებიც, რომლებიც დახმარებას საჭიროებდნენ.

მწვრთნელები დედაქალაქში კმაყოფილები დაბრუნდნენ. პროექტი დადებითად შეაფასა ასევე ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ"...

საგულისხმოა, რომ „ქალთა ცენტრში" ჩამოყალიბდა შრომითი გაცვლისა და დასაქმების განყოფილება. მასში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ქალები, რომელთა შორის თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ინდივიდუალურად და პრობლემების გათვალისწინებით ხდებოდა მათი შესაძლებლობებისა და უნარჩვევების განვითარება. ტრენინგგავლილი ქალბატონები ღიად საუბრობდნენ პროექტის აუცილებლობაზე, რამაც მათი ყოფა ოდნავ მაინც გაახალისა და უსასყიდლოდ მისცა საჭირო რჩევების მიღების საშუალება.

**ილია**
**მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

# ხალხი

● „...2007 წლის 3 ივლისის მონაცემებით, საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებულია 18138 მსჯავრდებული, როცა რეალურად იქ 15040 ადგილია



ჩვენში და უცხოეთში

# იქაური ციხეები აქაურ საცხოვრებლებს სჯობს

## პატიმარი ადამიანია!

**ახლახან გავეცანი მემორანდუმს, რომელსაც ხელს თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აწერენ. იგი გვაუწყებს, რომ „...2007 წლის 3 ივლისის მონაცემებით, საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებულია 18138 მსჯავრდებული, როცა რეალურად იქ 15040 ადგილია. 2006 წელს საპატიმროებში გარდაიცვალა 92 ადამიანი, ამა წლის იანვრიდან დღემდე კი – 64. მათ შორის, 9 – მხოლოდ ივლისში. ოცკაციან საკნებში 80-100 პატიმარია მოთავსებული. ავადმყოფები არ იღებენ სამედიცინო დახმარებას, საკნებში არ არის ელემენტარული ჰიგიენური პირობები“...**

აცხადებენ, რომ მემორანდუმი მიღებულია ორთაჭალაში, V საპყრობილესთან გამართულ პრესკონფერენციაზე. უფრო სწორი იქნებოდა, საპყრობილეს ნაცვლად, საგამოძიებო იზოლატორი ეთქვათ, სადაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილებს ათავსებენ. ისინი იქ საგამოძიებო-მოკვლევითი სამუშაოების დამთავრებას ელოდებიან.

ორთაჭალაში მდებარე №1 საგამოძიებო იზოლატორი ძალზე მოძველებულ და ამორტიზებულ შენობაშია მოთავსებული. იგი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დამდეგს საჯინიბოდ ააშენა მილიონერმა მანთაშოვმა. საგულისხმოა, რომ საგამოძიებო იზოლატორი ყოველთვის დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტად იყო გადატვირთული და პატიმრები ძალზე ვიწროდ იყვნენ. ამის მთავარი მიზეზებია: წინასწარი გამოძიების უხარისხობა და მისი უსაშველოდ გაჭიმვა; მოძიებული და მოკვლეული მასალების სასამართლოებისათვის დაგვიანებით გადაცემა; აგრეთვე, განსასჯელთა დასაცავად საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის ადვოკატთა უკმარისობა, სასამართლოების მიერ საქმეების განხილვის გაჭიანურება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სამართლებრივ, დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყნებში?

აშშ-ის ციხეების საკნებში პატიმრების განკარგულებაშია კონდიციონერები, ტელევიდეო და სტერეო-სისტემები, ტელეფონები და ა. შ. საერთოდ, ყველა ციხეში პატიმრებს ემსახურება თანამედროვე ტიპის სასადილოები, კაფეები, სამედიცინო დახმარება და სხვა საშუალებები. სასადილო ერთია მსჯავრდებულებისა და ციხის მომსახურე პერსონალისთვის; ერთნაირია მენიუ და ის ძალზე ჰგავს რესტორან „მაკდონალდსისას“. ასე რომ, იქ არსებული ციხეები ზოგიერთ ჩვენს სასტუმროზე უფრო კომფორტულია. ისინი ისე საიმედოდაა ჩარაზულ-ჩაკეტილი, რომ ჩიტიც კი ვერ შეფრინდება.

ციხეში პატიმართა მიმართ მოთხოვნები ერთნაირია. ტუსაღთა შრომითი საქმიანობა ნებაყოფლობითია და მათი უნარების, პროფესიონალური ჩვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისია. ყველა ამერიკელი კანონის წინაშე თანასწორია და მისი დარღვევისთვის თანაბრად აგებს პასუხს. დამნაშავეებზე არავითარი შეღავათები არ ვრცელდება და ისინი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ისჯებიან. ციხის პატიმარი შეიძლება იყოს მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენი ან კინოვარსკვლავი, სამხედრო ან სახელმწიფო მოღვაწე, ბიზნესმენი, მილიონერი...

გერმანიაში ციხის გარშემო ვერ ნახავთ კოშკურებს მათზე მდგარი ავტომატიანი გუშაგებითურთ. პატიმრები მოთავსებულნი არიან საკნებში, სადაც მათ აქვთ რადიომიმღები, ტელევიზორი, მაგნიტოფონი და ა. შ. ისინი ყველაფერს თავიანთი ფულით ყიდულობენ. საკნებშივე ნებაყოფლობით ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას. გამოუსწორებელი რეციდივები მხოლოდ მათთვის განკუთვნილ სპეციალურ ციხეებში არიან მოთავსებულნი. ციხეებს ემსახურებიან ე. წ. „სოციალური მუშაკები“, რომლებიც პატიმრებისთვის ყიდულობენ ყველაფერს, რაც მათ სჭირდებათ. მათთან ერთად ციხეებში არიან მღვდლები და ფსიქოლოგები.

შვეიცარიაში ციხეები თვალწარმტაც ადგილებშია განლაგებული და სტერილური სისუფთავით, მყუდროებითა და კომფორტით გამოირჩევა. თითოეულ პატიმარს ცალკე ოთახი აქვს გამოყოფილი, სადაც მის განკარგულებაშია ტელევიზორი, სტერეოსისტემა, ტრანზისტორი, მაცივარი და წიგნებით სავსე კარადა.

საამქროებში, სადაც მუშაობა ნებაყოფლობითია, იდეალური განათებაა, კონდიცირებული ჰაერია, ფართო სივრცეა და იქაურობა ყვავილებით არის მორთული. ციხის თითოეულ სართულზე ტელეფონ-ავტომატებია, საიდანაც პატიმარს შე

იხ. 11 გვ.

პრობლემა

# ფსიქიკურად დაავადებულები –

**ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების დაძაბვაში თავისი წვლილი გარკვეულწილად ფსიქიკურად დაავადებულებსაც შეაქვს. იშვიათობა არ არის დაავადებულთა მხრიდან მოულოდნელი აგრესიის გამოვლინება ოჯახის წევრების, ახლობლების, შემთხვევითი გამვლელების მიმართ, რაც არც თუ იშვიათად ტრაგიკული შედეგებით სრულდება (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის მძიმე სახის დაზიანება და ა.შ.ძ. ფსიქიკურად დაავადებულები სახიფათონი ხდებიან არამხოლოდ გარშემომყოფთათვის, ხშირია დაავადებულთა მხრიდან თვითმკვლელობები, თვითმკვლეობის მცდელობები და ა.შ.**

## დაავადებულებს პოლიცია იყენებს, ციხეში აგზავნის

ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევებში, ოჯახები მალავენ მათი წევრის ფსიქიკურ აშლილობას – „რას იტყვის ხალხი“. ამგვარ კონსპირაციულობას, ზოგჯერ მძიმე შედეგებამდე მივყევართ. ზესტაფონის რაიონში გურამ გოდაბრელიძემ ფსიქიკური აშლილობის მომენტში, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, ძმის „პარაბელუმით“ მთელი ოჯახი ამოწყვიტა (დედა, ძმა, რძალი, 10 წლის ძმისწული). სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა 6 წლის გოგონა.

დაავადებული აღრიცხვაზე იმყოფებოდა, მაგრამ მასზე კონტროლს არც ჯანდაცვა და არც შსს არ ანხორციელებდნენ.

თავის დროზე აფხაზეთში ბრძოლების მონაწილეთათვის სახსრები ვერ გამოინახა სრულიად და ჯეროვნად სამკურნალოდ. ბევრმა ახალგაზრდამ კონტუზიის, დაჭრილი და გარდაცვლილი მეგობრების, სისხლის ხილვით და სხვა გარემოებათა გამო ნერვიული ფსიქიკური სტრესი მიიღო, თავის დროზე ჯეროვანი ყურადღების არარსებობის გამო, ბევრ შემთხვევაში სტრესი აშლილობაში გადაიზარდა. ავადმყოფობის პროგრესირებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ, „ვარდებითა“ და ვეტერანებისადმი დიდი დაპირებებით მოსული ხელისუფლების გულგრილმა, ზოგჯერ უხეშმა დამოკიდებულებამ. მათ თავი ზედმეტად, საზოგადოებისაგან გარიყულად იგრძნეს. ფსიქიატრების განმარტებით, ამ კატეგორიის ხალხს ხშირად გარემო პირობები უქმნიან ნოყიერ ნიადაგს ავადმყოფობის გართულებისთვის.

თორნიკე ორკოდაშვილმა ფსიქიკური აშლილობის მომენტში, სახლიდან გამოიტანა აფხაზეთის ომის დროს ჩამოტანილი ავტომატი და უმისამართო სროლა ატეხა. შედეგად, გარდაიცვალა 2, მძიმედ დაიჭრა ერთი პიროვნება, სამივენი შემთხვევითი გამვლელები იყვნენ. დაკავებული ორკოდაშვილი ინციდენტის მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ფსიქიატრების განმარტებით, თუ ავადმყოფობა თანდაყოლილი არ არის, მისი ეტაპობრივი განკურნება შესაძლებელია. მკურნალობას შესაბამისი გარემო და მედიკამენტები სჭირდება. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში ნამყოფთა უმრავლესობა ხელმოკლე ოჯახებიდანაა. ხელისუფლებამ არა თუ პირობები არ გაუუმჯობესა მათ, არამედ სხვა შეღავათებთან ერთად მკურნალობისა და მედიკამენტებზე შეღავათებიც მოუსპო.



სამართალდამცავები, არსებული კანონების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევებში ფსიქიკურად დაავადებულებს იმავე კრიტერიუმებით უდგებიან, როგორც ჯანმრთელ მოქალაქეებს. სპეციალისტთა განმარტებით, დღეისათვის თითქმის სავსებით უგულებელყოფილია დაკავებულისათვის ფსიქიკური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობის მოთხოვნა, ამ პროცედურებს არ ატარებენ ადვოკატების დაჟინებული მოთხოვნების მიუხედავადაც.

საგარეჯოელი ლალი მეგრელიშვილი სასამართლოს იმის გამო უჩივის, რომ მისი ფსიქიურად დაავადებული მეუღლის ცრუ ჩვენების საფუძველზე (პოლიციის ზეწოლის შედეგადძ სამი მათი თანასოფლელი ციხეში მოხვდა. საქმე იმდენად უხეში დარღვევებითაა „გახსნილი“, რომ სამართალდამცავებს უმოქმედობაში დაზარალებული მხარეც ადანაშაულებს.

ფსიქიატრების განმარტებით, ფსიქიკური აშლილობის დროს მამაკაცებს ხშირად აქვთ სექსუალური გადახრები. ისინი ვეღარ აკონტროლებენ თავიანთ ვნებებს, ვეღარ არჩევენ შინაურსა და უცხოს. ორიოდე თვის წინათ ბიძამ 14 წლის დისშვილი გააუპატიურა. გორის რაიონში, 25 წლის ბიჭმა 68 წლის ქალი (გვარები დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით არ ქვეყნდება). ორივე მოძალადე დაკავებულია. ფსიქიატრიულში ორივენი იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე. წესით მათი უმეთვალყურეოდ დატოვება, გადაადგილება, სხვა პირებთან ურთიერთობა კონტროლირებადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

თითქმის უმართაობამდე მისული კრიმინოგენური ვითარების პირობებში სამართალდამცავები ნებისმიერი გზით ცდილობენ დაგროვილი გაუხსნელი საქმეების გახსნას. არად დაგიდევენ ეჭვმიტანილად ცნობილის ფსიქიკურ მდგომარეობას.

მცხეთის რაიონში რამდენიმე ახალგაზრდამ ფსიქიკურად დაავადებულ დავით ჯანაშვილს რკინის ნაკეთობებისათვის რამდენიმე ხნით ყურადღების მიქცევა სთხოვა. ჩაბარებულთან გაჩერებული ბიჭი პოლიციამ დააკავა. აღმოჩნდა, რომ ნაკეთობები მოპარული ყოფილა, დაკავებულის ადვოკატის მერაბ ჩიქოვანის განმარტებით, სამართალდამცავებმა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადეს. არადა, ჯანაშვილს აშკარად ემჩნევა გონებრივი ჩამორჩენილობა, რაც მის ქცევებშიც აისახება, ბრალდებულს ჯერ კიდევ სკოლაში სიარულის დროს 1998 წელს ჩაუტარდა გამოკვლევა. სამედიცინო დასკვნაში წერია – გონებრივი ჩამორჩენილობა დე-

● როგორც ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, პაციენტები წლების განმავლობაში უაზროდ ჰყავდათ გამოკეტილი საავადმყოფოში



ⓞ გიხაროდენ

# ჩვენ ელექტროენერგიის ექსპორტიორები ვართ?

(მეშვიდე გვერდიდან)

მარტო ეს არ არის, საქართველო, რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი ერთიანი ელექტროწრედის შეკვრაზე მუშაობენ, რაზეც შეთანხმება, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის დასრულდება. მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა მნიშვნელოვანად გაზრდის ქვეყნის ენერგომეურნეობის სტაბილურობასა და საიმედოობას, რომლის უქონლობამაც ბოლო წლებში უამრავი თავსატეხი გაგვიჩინა.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — გაჩნდა შანსი „ხუდონჰესის" მშენებლობის განახლებისა, რომლის სიმძლავრე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას გარანტირებულად უზრუნველყოფს. თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია. ბრიტანული კომპანია „კონტინენტალ-ენერჯი", რომელიც ჰესის დოკუმენტაციას სწავლობს, მხოლოდ 6 თვის შემდეგ იტყვის, იღებს თუ არა მისი მშენებლობის ვალდებულებას. თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, საქართველოს რეალური შანსი გაუჩნდება, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რეგიონში ელექტროენერგიის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი გახდეს.

ამით, ბუნებრივია, ყოყლოჩინობს მთავრობა, რომელსაც მამლაყინწობის მენტალობა ისედაც მოჭარბებულად აქვს და ახლა ხომ მთლად თავი აიწყვიტა. მას ელექტროენერგიის ექსპორტიორობა ეამაყება, მაგრამ იმას რატომღაც მალავს და ჩქმალავს, რომ მის ეგრეთწოდებულ „გაექსპორტიორობაში" იმდენი წვლილი თავად არ მიუძღვის, რამდენიც მოსახლეობას, რომლის უდიდესი ნაწილი ფაქტობრივად გადახდისუუნაროა. ის წინა წლებში ბნელში იმიტომ იჯდა, რომ ქვეყანას ენერგია არ ჰყოფნიდა, ახლა ენერგია კი გამოჩნდა, მაგრამ უფულობამ და გაზრდილმა ტარიფმა კვლავ წყვდიადში მოამწყვდია.

საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდის პარალელურად სისტემატურად იზრდება მისი ტარიფიც. რა ქნას 38-ლარიანმა პენსიონერმა, უმუშევრად დარჩენილმა საარსებო სარჩოს მოკლებულმა მოსახლეობამ პური და შაქარი იყიდოს, რომ გაძაღლებული სიცოცხლე შეინარჩუნოს თუ გაძვირებული დენისა და გაზის გადასახადი გადაიხადოს? ვერც ერთს იხდის სრულყოფილად და ვერც მეორეს. ამიტომ ხშირად შიმშილიც უწევს, სიცივეში კანკალიც და უსინათლობაც.

ხელისუფლება კი ტრაბახობს — შემომხედეთ, რა მაგარი ვარ, იმდენი ელექტროენერგია დავაგროვე, ქვეყანაც მოვაყირჭე და ბაზარზე გასაყიდადაც გავიტანეო. შე მამაცხონებულო, თუ ჭარბი ენერგია დაგიგროვდა, ადექი და ტარიფი შეამცირე, ყოველ შემთხვევაში, ზაფხულში მაინც, როცა ჰესებში იმდენი წყალია, რომ დუღს და გადადუღს. არა, მაინცდამაინც საკუთარი მოსახლეობის გატყავების ხარჯზე სურს გამდიდრება, თანაც მაღალი რეიტინგის შენარჩუნება.

სამომავლო გეზიც რომ უცვლელია? ენერგეტიკის სამინისტროში ჰესების მშენებლობაზე ხშირად ლაპარაკობენ, ტარიფების შემცირებაზე კი — არასდროს. პირიქით, როგორც ამათი პროგრამიდან ჩანს, ელექტროენერგიის მატებასთან ერთად (ახლა ატომური სადგურის აშენებასაც აპირებენძ, სისტემატურად მოიმატებს მისი ტარიფიც. თუმცა ამას წინათ ტელევიზორიდან სემეკის რომელიღაც ხელმძღვანელი გვამშვიდებდა — ნუ გეშინიათ, მომავალ წლამდე ძველი ტარიფი დარჩებაო.

მეტი რა გზა გვაქვს, ახალ წლამდე უნდა მოვიცადოთ. ალბათ მოცდა მოუწევს გილაურსაც, რომელსაც საექსპორტო ბაზარი თუ გაეზარდა, შეიძლება საენერგეტიკო აღებმიცემობაში, თავად სახელმწიფო მინისტრი, ბატონი ბენდუქიძეც კი ჩაერთოს.

**ოთარ ხუციშვილი**

ⓞ ინფორმაცია

## ქუთაისში ტენდერებს აყალბებენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი ინსტიტუტის დაცვის ცენტრმა" ქალაქ ქუთაისის მთავრობას ტენდერების გაყალბებაში დასდო ბრალი.**

საქმე ეხება ქუთაისში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მიზნით გამოცხადებულ ტენდერს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის სულხან ქობულაძის განცხადებით, ტენდერის შედეგები წინასწარვე იყო ცნობილი და ის პირები, რომელთა გამარჯვებაც არ სურდათ, ტენდერიდან მოხსნეს. მისივე ინფორმაციით, ამის მიზეზად საბუთების მოუწესრიგებლობა დასახელდა.

**ინტერპრესნიუსი**



# საზოგადოებიდან გარიყულები

ვის დროზე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოველგვარი პროფესიული ნიშნის გარეშე ღებულობდნენ. ჯანდაცვის სამინისტროში შექმნილ მდგომარეობას იმით ხსნიდნენ, რომ სახელმწიფო დაფინანსება მწირი იყო, აქედან გამომდინარე — ხელფასებიც და უხდებოდათ შემთხვევითი პირების მიღება. ბოლო 5 წლის მანძილზე საშუალო მედპერსონალს არანაირი სპეციალური მომზადება არ გაუვლია.

ფსიქიატრთა განმარტებით, სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებებს ჰყავდა და ჰყავს კონსულტანტები მკურნალობის სხვადასხვა დარგში. მაგრამ თუ ექიმი-სტომატოლოგის მაგალითით ვიმსჯელებთ, რომელსაც კბილის ამოღების გარდა მკურნალობის სხვა საშუალებები არ გააჩნია, შეიძლება დავასკვნათ, ექიმი-კონსულტანტები მხოლოდ „ფასადის" შესაქმნელად ჰყავთ მოწვეულნი.

როგორც ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, პაციენტები წლების განმავლობაში უაზროდ ჰყავდათ გამოკეტილი საავადმყოფოში. მათ პრაქტიკულად არ მკურნალობდნენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" წარმომადგენლები, აცხადებენ, რომ ხანგრძლივი იზოლაცია კონტაქტებისა და დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების შეზღუდვასა და ე.წ. „ჰოსპიტალიზაციის" სინდრომს იწვევს.

ფსიქიატრები, სპეციალისტები შეშფოთებით შეხვდნენ მათ წრეში გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება ასათიანზე მდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობის გაყიდვას აპირებს. მის მაგივრად ახლოს აშენება იგეგმება. თუმცა, ჯერჯერობით არც ადგილია შერჩეული და არც პროექტი წარმოუდგენია ვინმეს. საავადმყოფოს გენერალური დირექტორის ზურაბაშვილის განცხადებით, ახალი საავადმყოფო აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. მისივე განმარტებით საჭიროა სტაციონარის (საწოლი ადგილებისძ გაზრდა.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საწოლი ადგილების გაზრდა აუცილებელია ქვეყანაში შექმნილი სტრესული მდგომარეობის გამო. ამას ცოტა ხანში დაემატება ნარკომან ახალგაზრდათა ის თაობაც, რომელიც „ჯეფისა" და „ვინტის" მიღებაზე, ტოქსიკომანიაზეა გადასული. ფსიქიატრების მტკიცებით, კუსტარულად დამზადებული პრეპარატები ადამიანის დეგრადაციას იწვევს. მათ სამკურნალოდ არა ნარკოლოგებთან დასჭირდებათ სიარული, არამედ ფსიქიატრებთან.

მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ჯანდაცვის სამინისტრო მეთოდურად ამცირებს ფსიქიატრიულებში სტაციონარულ ადგილებს. ექიმი-ფსიქიატრები ამის მიზეზად ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებენ. ხელისუფლება 100 პროცენტით აფინანსებს დაავადებულთა მკურნალობას. წელს თითოეულზე 37 ლარია გამოყოფილი. ავადმყოფთა რაოდენობის შემცირებით ფული დაიზოგება. ამას მოჰყვება მედპერსონალის შემცირება. ესეც ეკონომიაა. სამაგიეროდ დანაზოგით მოეწყობა ახალი გასართობი შოუები. ავადმყოფთა მკურნალობას „ვარდებით" მოსულებს ტაშფანდურა ურჩევნიათ.

ბილობის ფარგლებში, განუვითარებლობის მესამე დონე.

სპეციალისტთა განმარტებით ასეთი პიროვნება ვერ ათვითცნობიერებს ჩადენილს. იგი ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, მიუხედავად ამისა ქურდობაში ეჭვმიტანილს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა. ბაჩო ახალაიას უწყებას კიდევ ერთი ფსიქიკურად დაავადებული შეემატა.

### ციხის საავადმყოფოებში ფსიქიატრები არ ჰყავთ

სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მოხვედრილ ფსიქიკურად დაავადებულ განსასჯელებსა და მსჯავრდებულებს აუტანელ პირობებში უწევთ ცხოვრება. ისინი არ არიან იზოლირებულნი. ავადმყოფთა მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. მათი ყოფა აუტანელი და საშიში ხდება დანარჩენებისათვის.

სპეციალისტთა მონაცემებით, დღეისათვის ციხე-კოლონიებში 60-ზე მეტი დაავადებულია. მათ უმეტესობას არ ჰყავს ადვოკატი. ფერხდება მათი გამოკვლევები, ჩატარებული გამოკვლევების პასუხს კარგა ხნის ლოდინი სჭირდება. უდიაგნოზოდ მყოფნი მწვავე სულიერ მდგომარეობაში არიან.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ჰყავთ პროფესიონალი ფსიქიატრები. სისტემატურად ირღვევა მკურნალობის სტანდარტები. სამკურნალო დაწესებულებებს არ აქვთ ლიცენზიები. როგორც კი საქმე ადგილზევე დიაგნოზის დადგენაზე მიდგება, მედპერსონალი შესაბამისი აპარატურის უქონლობას იმიზეზებს. პრობლემები იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელთათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ არავინ აპირებს არსებულის შეცვლას.

### ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადგილები შემცირდა

იმ დროს, როდესაც გლდანის ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფო 200 პაციენტზე იყო გათვლილი და მკურნალობის მსურველთა რიგი იდგა, საავადმყოფო გააუქმეს. ის გადაიტანეს შიგ გლდანში, ქალაქთან უფრო ახლოს. მართალია, შენობა იდეალურად გარემონტებულია, მოიმატა მედპერსონალის ხელფასმა და სახელმწიფო დაფინანსებამ, მაგრამ ამავე დროს იკლო დასაწვენ პაციენტებზე გათვლილმა საწოლებმა. დღეს სოციალური დაცვის განყოფილებად გადაკეთებულ ყოფილ ფსიქიატრიულს სტაციონარული მკურნალობისათვის მხოლოდ 100 ავადმყოფის მიღება შეუძლია. თავისი ძველი, 200-კაციანი კონტინგენტიდან საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ავადმყოფთა დიდი ნაწილი სხვადასხვა საავადმყოფოს გადაუნაწილა. ამჟამად სოციალური დაცვის განყოფილებაში ძირითადად ის ავადმყოფები ჰყავთ, რომელნიც მუდმივ სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ. საქართველოს დამოუკიდებელ ფსიქიატრთა კავშირის ხელმძღვანელის ნანა ზავრადაშვილის განმარტებით, კონტინგენტის სიმრავლის გამო, ავადმყოფები დერეფნებშიც წვანან.



ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა შიდაგანაწესის საკითხი. ახალ შენობაში გადავიდა ძველი მედპერსონალიც, მათ შორის საშუალო. ეს ის კონტინგენტია, რომელსაც თა-

**ზაზა ბილიხოძე**

● ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ წყვეტს ორმხრივ კონსულტაციებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსი ექსპერტები ფაქტობრივად მიაბრძანეს საქართველოდან



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველომ სომხეთი დროებით დატოვა რუსული გაზის გარეშე

**საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთიდან სომხეთში ბუნებრივი გაზის მიწოდება დროებით შეწყვეტილია „ჩრდილოეთ კავკასია – ამიერკავკასიის“ გაზსადენის საქართველოს მონაკვეთზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. ასეთი განცხადება გააკეთეს საქართველოს ნავთობგაზის საერთაშორისო კორპორაციაში.**

სარემონტო სამუშაოები დაახლოებით ერთ კვირას გასტანს, რის შემდეგაც სრული მოცულობით აღდგება სომხეთში რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მიწოდება. „სარემონტო სამუშაოებს საგეგმო ხასიათი აქვს და ამის შესახებ წინასწარ შეატყობინეს როგორც რუსეთის, ისე სომხეთის მხარეს, ამიტომაც სარემონტო სამუშაოების განხორციელება არ უქმნის არანაირ პრობლემას სომხეთის გაზმომარაგებას, რომელიც ამ დროის განმავლობაში ბუნებრივ გაზს მიიღებს თავისი მიწისქვეშა გაზსაცავებიდან“, – აღნიშნა საქართველოს ნავთობგაზის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენელმა.

როგორც მან თქვა, ამ ბოლო თვეების განმავლობაში საქართველო ქვეყნის მოთხოვნილებას ბუნებრივ გაზზე მთლიანად იკმაყოფილებს აზერბაიჯანიდან მიღებული გაზით, ამიტომ მას არ აუღია საკუთარი მოხმარებისთვის რუსული გაზი.



# რუსი ექსპერტები საქართველოდან მიაბრძანეს

**6 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე რაკეტის ჩამოვარდნასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა, რის შესახებაც კვლავაც გრძელდება კამათი და არა მარტო თბილისსა და მოსკოვს შორის, გასული კვირის დამლევს მოულოდნელი განვითარება ჰპოვა. რუსმა სამხედრო ექსპერტებმა, რომლებიც იკვლევდნენ იმას, რაც დარჩა აფეთქებული ჭურვისგან, განაცხადეს, რომ ეს არის სხვადასხვა ქარხნებში და სხვადასხვა ქვეყნებში დამზადებული სხვადასხვა რაკეტის დეტალები. ამის პასუხად ქართულმა მხარემ თქვა უარი რუსი სპეციალისტების სამსახურზე, შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა კი საქართველოს ხელისუფლებას ყოველმხრივი მხარდაჭერა აუღთქვეს.**

ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიგელ ანხელ მორატინოსი მიმდინარე კვირას საქართველოში გაგზავნის თავის სპეციალურ წარმომადგენელს, ხორვატიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს მიომირ ზუზულს, რომელსაც ევალება გაარკვიოს 6 აგვისტოს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებული გარემოებები და განსაზღვროს, თუ სინამდვილეში რომელი ქვეყნის თვითმფრინავმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოაგდო რადარსაწინააღმდეგო რაკეტა. თბილისში დარწმუნებულები არიან, რომ ეს რუსული თვითმფრინავი და რუსული რაკეტა იყო.

ამ საკითხით ეუთოს დაინტერესება, კამათი, რომელიც არ ცხრება გაეროს უშიშროების საბჭოში, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ სხდომაზე რუსეთის მისამართით საქართველოს მიერ გამოთქმული ბრალდებების განხილვა, რომელიც 7 სექტემბრისთვის არის დანიშნული, ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ აგვისტოში მომხდარი ინციდენტი გასცდა ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს და მას მიეცა მოსკოვისთვის არახელსაყრელი საერთაშორისო რეზონანსი.

ამ საგანგებო შემთხვევის გამოძიების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ მოიწვია ამერიკელი, შვედი, ლატვიელი და ლიტველი სამხედრო ექსპერტები. შეისწავლეს რა ნივთიერი მტკიცებულებები და გაეცნენ საქართველოს შესაბამისი სამსახურების მიერ გადაცემულ მონაცემებს, ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა: სუ-24 ტიპის თვითმფრინავი საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა რუსეთის მხრიდან და იმავე მიმართულებით გავიდა მას შემდეგ, რაც ჩამოაგდო რაკეტა გორის რაიონის სოფელ წითელუბანში.

ამ გამოძიებაში მონაწილეობისთვის რუსეთის მხარეს კარგა ხანს არ იწვევდნენ. მაგრამ გასულ კვირას რუსი ექსპერტები მაინც ჩავიდნენ საქართველოში ზემოაღნიშნული ინციდენტის ერთობლივად გამოძიების მიზნით. სამხედრო სპეციალისტებს ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი იგორ ხვოროვი, ჯგუფში ასევე შედიოდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი და საქართველოში რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაური ვიაჩესლავ კოვალენკო. მაგრამ ამ მოგზაურობას არაფერი სასიკეთო არ მოუტანია: 16-17 აგვისტოს გამართული რუსეთ-საქართველოს კონსულტაციები უფრო ყრუს და მუნჯის საუბარს წააგავდა – მხარეებმა ვერ მიაღწიეს ურთიერთგაგებას. ქართულ მხარეს მიაჩნდა, რომ მის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები გაუბათილებელი სიმართლე იყო, რომელიც ადასტურებდა რუსეთის თვითმფრინავის თავდასხმას სოფელ წითელუბანზე, და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით იმოწმებდა დასავლელი ექსპერტების დასკვნებს და თავისი რადარების ჩვენებებს, კატეგორიულად მოითხოვდა, რომ რუსეთს ეღიარებინა „აშკარად დანაშაული“. მაგრამ, რუსეთის დელეგაციაც როგორც საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, ისე რაკეტის ჩამოვარდნის ადგილზე შეხვედრების და საელჩოში გამართული პრესკონფერენციის დროს, ასევე დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ თვითმფრინავი მისი არ იყო, რასაც ადასტურებდე რუსი სამხედრო და სამოქალაქო რადარების ჩვენებები და აგრეთვე რუსი სამხედროების მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ 6 აგვისტოს ამ რაიონში სუ-24 ტიპის თვითმფრინავები საერთოდ არ აფრენილან.

ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი რუსეთის დელეგაციის წევრებმა საეჭვოდ მიიჩნიეს: X-58 ტიპის რაკეტა, უფრო სწორედ კი მისი ნამსხვრევები, ქართველებს თვითონვე შეეძლოთ ჩაემარხათ მიწაში. გარდა ამისა, აცხადებდნენ რუსი ექსპერტები, ქართული მხარის მიერ ნივთიერ მტკიცებულებათა სახით წარმოდგენილი დეტალების ნაწილი მართლაც X 58 ტიპის რაკეტისა იყო, ნაწილი კი – სხვა რაკეტების. არც ის იყო დადასტურებული, აცხადებდნენ ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები, რომ თვით რაკეტაც რუსული წარმოებისაა. კერძოდ, ჯგუფის ხელმძღვანელმა გენერალმა ხვოროვმა გაიხსენა, რომ 1992 წლის დეკემბრამდე სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა საბჭოთა საავიაციო შეიარაღების ცენტრალური საწყობი. გენერლის თქმით, იქ რადარსაწინააღმდეგო რაკეტებიც ინახებოდა. „ისინი, რა თქმა უნდა, მოგვიანებით გაიტანეს საქართველოდან, მაგრამ იმის მტკიცება შეუძლებელია, რომ გატანილია ყველა რაკეტა, ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს რაკეტაც სწორედ იმ საწყობიდან შეიძლება იყოს“, – განაცხადა იგორ ხვოროვმა. პრესკონფერენციაზე გამოითქვა ვერსია იმის თაობაზეც, რომ დამრღვევი-თვითმფრინავი, საერთოდ, შეიძლება ქართულიც კი ყოფილიყო. „იქნებ, საქართველოში არის თვითმფრინავები, რომლებსაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ვერ აკონტროლებს“, – ასეთი ვარაუდი გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა ვალერი კენიაკინმა. რაც შეეხება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, იმავე კენიაკინის აზრით, იგი არის „პოლიტიზებული და არ ეფუძნება კონკრეტულ ფაქტებს“.

მოსკოვის ასეთ პოზიციაზე თბილისის პასუხი საკმაოდ მკაცრი იყო: ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ წყვეტს ორმხრივ კონსულტაციებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსი ექსპერტები ფაქტობრივად მიაბრძანეს საქართველოდან. „რუსეთის მხარეს არ გამოუჩენია კონსტრუქციულობა და მან პრაქტიკულად აარიდა თავი გამოძიებასთან თანამშრომლობას. უფრო მეტიც, მან სცადა იმის უარყოფაც კი, რომ დაირღვა საქართველოს საჰაერო სივრცე, რაც დაადასტურეს, როგორც თვითმხილველებმა, ისე სარადარო სისტემათა მონაცემებმაც“, განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალმა ბათუ ქუთელიამ. აქედან გამომდინარე, – თქვა შემდეგ მან, თბილისში მ[illegible] ვარი აზრი [illegible] ციებმა რუსეთის მხარესთან. ამავე დროს, შეერთებული შტატები [illegible]

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ

# განცხადება

**სს „რუსთავმშენი“-ს კუთვნილ გაკოტრების მასაში შემავალი ქონების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ**

სს „რუსთავმშენი“-ს გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს „რუსთავმშენი“-ს კუთვნილ გაკოტრების მასაში შემავალ ქონებაზე.

**აუქციონზე იყიდება:**

1. საინჟინერო კორპუსი, 4-სართულიანი სახლის მე-3 და მე-4 სართულები, მდებარე ქ. რუსთავში, გაგარინის ქ. №21 (შესაძლებელია გაიყიდოს ნაწილ-ნაწილძ.
– ქონების საწყისი ღირებულება შეიადგენს 26 500 ლარს.

2. ინერტული მასალების ღია საწყობი ალგეთის ტერიტორიაზე ერთსართულიანი ამორტიზირებული კანტორისშენობით.
– ქონების საწყისი ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს.

3. დაუმთავრებელი ე.წ. „საქვაბე“, ყოფილი რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის ტერიტორიაზე, (შესაძლებელია გაიყიდოს მიმდებარე მიწის ნაკვეთთან ერთადძ. მდებარე ქ. რუსთავში, დ. გარეჯის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.
– შენობის საწყისი ღირებულება შეადგენს 2 000 ლარს.

4. ყოფილი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სასაწყობო მეურნეობის დაუმთავრებელი შენობა ე.წ. „ესტაკადა“ და მანქანების სასწორი (შესაძლებელია გაიყიდოს მიმდებარე, მიწის ნაკვეთთან ერთადძ. მდებარე ქ. რუსთავში მაზნიაშვილის ქ. №2.
– დაუმთავრებელი შენობისა და მანქანების საწყისი ფასი 1100 ლარი.

5. მიწის ნაკვეთი ქ. რუსთავის შემოსასვლელში (600 მ$^2$ძ.
– საწყისი ფასი 6000 ლარი.

6. ყოფილი №1 სამმართველოს ამორტიზირებული შენობები: ადმინისტრაციული შენობა, შესასვლელი სამორიგეო ჯიხური, მასალების საწყობი, სადურგლო, ღია სასაწყობო ფარდული (შესაძლებელია გაიყიდოს მიმდებარე მიწის ნაკვეთთან ერთადძ.
– შენობების საწყისი ღირებულება შეადგენს 4 500 ლარს.

7. სხვადასხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი
– საწყისი ფასი 5 760 ლარი.

**შენიშვნა:** გამოსასყიდი კვ.მ. მიწის საწყისი ღირებულება შეადგენს 8 ლარს. აუქციონი ჩატარდება ა.წ. 10 სექტემბერს დღის 12:00. სს „რუსთავმშენის“ საინჟინრო შენობაში. მისამართი: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. №21.

აუქციონში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ აუქციონის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი დღისა. განაცხადს თან უნდ[illegible] ნების საწყისი ღირებ[illegible] ნობით, რომელიც უნდ[illegible] ების ანგარიშზე (სს „[illegible] №000609555, საიდენტ[illegible] სს საქართველოს ბანკ[illegible] 220101514ძ და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევა[illegible] მობის ასლი (მიმდობილი პირის შემთხვევაში – სანოტარო აქტიძ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველების მიერ ბეს სახით გადახდილი თანხა ბეს გადამხდელს დაუბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განაცხადის მქონე პირი მიიღებს მონაწილეობას გამართულ აუქციონში და ვერ გაიმარჯვებს. ხოლო აუქციონზე გამარჯვებულს გადახდილი ბე ჩაითვლება თანხის ნაწილის წინასწარ გადახდაში.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ქონების მთლიანი ღირებულება გადაიხადოს აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში. აუქციონში გამარჯვებული ქონების საკუთრების უფლებას მოიპოვებს მხოლოდ თანხის დანიშნულ ვადაში სრულად გადახდის შემთხვევაში.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ქ. რუსთავი, გაგარინის ქუჩა №21.**

გაკოტრების მმართველი
**ფრიდონ უზირია**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

● მიუხედავად ნ. კარამზინის მტკიცებისა, „ჩინგისხანის ნაკვალევი“ ვერ უპოვეს...



№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

◎ ჩვენში და უცხოეთში

# იქაური ციხეები აქაურ საცხოვრებლებს სჯობს

(მერვე გვერდიდან)

უძლია ნებისმიერ დროს დარეკოს, სადაც და ვისთანაც მოესურვება. პირადი პაემანისთვის პატარა კეთილმოწყობილი ბინებია განკუთვნილი. პაემნების რაოდენობა შეუზღუდავია. სასადილოს მენიუ რესტორნისას არ ჩამოუვარდება. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ციხის სასადილოში ფასები შედარებით დაბალია. კვების საფასური გამომუშავებიდან იფარება, ხოლო, ვინც არ მუშაობს და, შესაბამისად, გამომუშავება არა აქვს, კვების საფასურს მისი ოჯახი იხდის...



ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც ჰოლანდიაა, ციხე განთავსებულია ექვს მაღლივ შენობაში. პატიმართა ყოველგვარი გადაადგილება ციხის ტერიტორიაზე მონიტორზე აღინუსხება. უსაფრთხოების გამო, პატიმრებს ციხის სასადილოში არ ამუშავებენ. სამზარეულოს მენიუ ფართო ასორტიმენტით გამოირჩევა. მენიუ ყოველ კვირას იცვლება. ციხის მაღაზიაში პატიმრებს შეუძლიათ ყველაფერი შეუკვეთონ და შემდეგ შეიძინონ.

ტუსაღის ნახვა ახლობლებს კვირაში ერთხელ, ერთი საათით შეუძლიათ. საკვების, ამანათების და ა. შ. გადაცემა განუსაზღვრელია. აკრძალულია და არ შეიძლება ელექტრონიკის ისეთ ნაკეთობათა გადაცემა, რაც ციხის დაცვის სიგნალიზაციის გამართულობაზე იმოქმედებს. წერილები, ჩანაწერები და სხვა არ მოწმდება. პატიმარს უფლება აქვს, ტელეფონით დაუკავშირდეს მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს და ესაუბროს თავის ნათესავს, ახლობელს და მეგობარს. საფასურს ტუსაღი იხდის. ნათესავს ან ნაცნობ-მეგობარს აქვს უფლება, პატიმრის სახელზე ნებისმიერი თანხა ჩარიცხოს, ხოლო კომპიუტერი გამოუწერს პატიმარს ანგარიშს, თუ რა თანხაა დაგროვილი მის სახელზე.

ვისაც მძიმე დანაშაული არ აქვს ჩადენილი და ციხის რეჟიმს არ არღვევს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, ასეთი პატიმარი ერთ დღით შინ გაუშვას. ზოგს სამი დღითაც კი უშვებენ.

აი, ასეთი სატუსაღოებია ზოგიერთ ცივილიზებულ და სამართლებრივ ქვეყნებში, სადაც სასჯელის აღსრულება კანონთან შესაბამისობაშია.

როგორ არა ჰგავს აღწერილი ჩვენში არსებულ სავალალო მდგომარეობას!

მიუხედავად ჩვენს პენიტენციალურ სისტემაში შექმნილი სავალალო მდგომარეობისა, ხელისუფლებას არ უნდა დაავიწყდეს, რომ პატიმარიც ადამიანია და ზრუნავდეს მისი უფლებების დასაცავად.

**გურამ ჩხიკვაძე**

◎ ინფორმაცია

# „როკერი ახალგაზრდები“ და მკვლელობის დეტალები

**14 წლის სალომე მამაცაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ დავით ტაბიძის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვით განახლდება.**

როგორც განსასჯელის ადვოკატმა ქეთევან ინაშვილმა განაცხადა, სასამართლოსგან გაგზავნილი უწყებები უკვე ჩაბარდათ ე.წ. როკერ ახალგაზრდებს – გიორგი ჭანტურიძეს, ვასილ შავიშვილსა და თაკო გვიანიშვილს (მეტსახელად „სიმფსონა“ძ. აღნიშნულ პირთა დაკითხვა დაცვის მხარემ მოითხოვა.

„როგორც წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში ჭანტურიძე განმარტავს, შეესწრო ფაქტს, თუ როგორ იმუქრებოდნენ „სიმფსონა“ და გამოძიებით დაუდგენელი ვინმე ვიკა სალომე მამაცაშვილის მოკვლით. თავად „სიმფსონაც“ დაკითხა გამოძიებამ, თუმცა ერთი შეკითხვაც არ დაუსვამთ მისთვის, თუ რატომ ემუქრებოდა მამაცაშვილს. აღნიშნული პირები სასამართლოს მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდიან “, – აღნიშნა ინაშვილმა.

მკვლელობა თბილისში, დადიანის №12-ში მდებარე სადარბაზოში 2007 წლის 12 მაისს მოხდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავით ტაბიძე 16 მაისს დააკავეს. სასამართლომ მას 19 მაისს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სალომე მამაცაშვილის ოჯახის წევრები დავით ტაბიძისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვენ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ დაიჯესტი

# მომაკვდინებელი სარეველა ბალახი

**ბოლო წლის განმავლობაში უცნობმა თირკმელების ავადმყოფობამ ბალკანეთში 100 ათას მცხოვრებს დარია ხელი. მძიმე შემთხვევებში სწრაფად განვითარებადი ინფექცია თირკმელების უმოქმედობასა და საშარდე ბუშტის კიბოს იწვევდა.**

სთოუნ-ბრუქის უნივერსიტეტის დირექტორმაართურ გროლმანმა შეძლო სპეციალურ ლიტერატურაში იმის გამორკვევა, რომ 1930-იან წლებში ამ რეგიონში ცხენებს თირკმელები უჩერდებოდათ ძირმწარას ჭამის შემდეგ.

ეს ძირმწარა სიმპათიური სარეველაა, ხასხასაყვითელ-თეთრყვავილებიანი და ხორბალზე პარაზიტირებული. ძალიან შხამიანი, ალკოლოიდებს, ორგანულ და ფენოლკარბონულ მჟავებს, ფისებსა და სხვა ნივთიერებებს შეიცავს. არაერთი ცდის შემდეგ გროლმანმა მოახერხა დამტკიცება, რომ სწორედ ძირმწარაში შემავალი მჟავები იწვევენ ავთვისებიან მუტაციებს იმ გენში, P53-ში, რომელიც პასუხისმგებელია შარდასასქესო სისტემის ფუნქციონირებისათვის. ასე რომ, ახლა ბალკანეთის მთავრობებისათვის პირველხარისხოვანი ამოცანაა მინდვრებიდან სახიფათო სარეველას ამოძირკვა...

# დადედა



**კანადელმა მელანი ბუავანმა ქალიშვილს მემკვიდრეობად დაუტოვა საკუთარი კვერცხუჯრედები, რომელსაც ჯერ კიდევ დაბადებისას დაუსვეს „თერნერის სინდრომის“ დიაგნოზი, ასე რომ, შვილების გაჩენას ვერასოდეს ვერ შეძლებს.**

ამ დაავადებისას სულ არ არიან X-ქრომოსომები. ასეთი დეფექტი ზრდისა და სქესობრივი მომწიფების შეყოვნებასთან ერთად სრულ უნაყოფობას იწვევს. სიტუაციის გამოსასწორებლად გოგონას 35 წლის დედამ საკუთარი კვერცხუჯრედები შეინახა მაქგილის უნივერსიტეტის მედიცინის რეპროდუქციულ ცენტრში. მანამდე აქ ინახავდნენ იმ ქალიშვილებისა და ქალების კვერცხუჯრედებს, რომელშიც ონკოლოგიური დაავადებები უვლინდებოდათ და ქიმიოთერაპიის მძიმე კურსები ელოდათ.

ამგვარად, თუ სამომავლოდ გოგონა გადაწყვეტს დაკონსერვებული კვერცხუჯრედების გამოყენებას, მისი შვილი იმავდროულად დაც იქნება ან ძმაც... საგულისხმოა, რომ პროცედურა მოიწონა კანადის ეთიკის დამოუკიდებელმა კომისიამ...

# აღგნენ და გაფხიკეს

## რუსთა გენეტიკაში ჩინგისხანის გენებს ვერ მიაგნეს



**„გაფხიკეთ რომელიც გინდა რუსი და უთუოდ იპოვით იქ თათარს“ – ეს რუსული ლიტერატურის კლასიკოსის ნ. კარამზინის რჩევა გახლავთ. ჰოდა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის განყოფილების სწავლულებმა გადაწყვიტეს ამ რეკომენდაციის გამოყენება.**

„ჩინგისხანის“ კვალის ძებნაში – ეს არის Y-ქრომოსომის მჭიდროდ დაკავშირებული ხაზების განსაკუთრებული ჯგუფი, დაახლოებით ათასი წლის წინათ ჩამოყალიბებული ყოფილა მონღოლეთის იმპერიის ტერიტორიაზე – სპეციალისტებმა შეისწავლეს დაახლოებით 1500-კაციანი გენოფონდი და დამთხვევის საფუძველზე ივარაუდეს, რომ იმათგან აღწერილი Y-ქრომოსომები ჩინგისხანს მიეკუთვნება.

ეს ქრომოსომა თურმე მისგან გადაეცემა ვაჟს, რაც იძლევა გენეალოგიისათვის თვალის მიდევნების საშუალებას. მეცნიერები ჩინგისიდებს ეძებდნენ ჩრდილოეთ ევრაზიის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შეუსწავლელია გენეტიკის თვალსაზრისით. რუსეთის მცხოვრებთა შორის ყველაზე მეტი „ჩინგისხანის სისხლი“ აღმოჩნდა ალტაის ყაზახებში, შემდეგ ნაკლებობით მოდიან ალტაის, ბურიატეთის, ტუვისა და ყალმუხეთის მცხოვრებნი. რუსებს, მიუხედავად ნ. კარამზინის მტკიცებისა, „ჩინგისხანის ნაკვალევი“ ვერ უპოვეს...

# გეიტსმა პირველობა დათმო

**დედამიწაზე №1 მდიდარი კაცი ამჟამად მექსიკელი კარლოს სლიმე ჰელუა. „პლანეტის მთავარი ქისის“ ტიტულს კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეიტსი 13 წლის განმავლობაში ამაყად ატარებდა. ჰოდა, ცოტა ხნის წინათ მას პირველობა მექსიკელმა ოლიგარქმა კარლოს სლიმ ჰელუმ ჩამოართვა, რომელსაც მანამდე უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგში მესამე სტრიქონი ეკავა.**



სინიორ ჰელუს ქონების ღირებულებამ 60 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და სამი მილიარდით აჯობა გეიტსისას. ჰელუს იმპერიის გულია სატელეფონო კომპანია „ტელეფონოს დე მექსიკო“, რომელიც ქვეყანაში მონოპოლისტს წარმოადგენს. ჰელუს მეორე კომპანია „ამერიკა მოვილი“ არსებითად, საკომუნიკაციო ძალაა და მთელი ლათინური ამერიკის კონტინენტი მობილური კავშირით აქვს მოცული.

**სურათზე: კარლოს სლიმე ჰელუ, რომელმაც კაპიტალი მობილურ კავშირებზე გააკეთა.**

*უცხოური პრესის მიხედვით*

● და ჩვენი ბედოვლათობით თუ ბეწვის ხიდთან მივედით,
ქართვლის დედებო, თქვენა ხართ, ისევ სამშობლოს იმედი!



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული იყო დამატებითი შვებულებები საჯარო სამსახურში მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, რითაც შვებულების მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება ყოფილიყო 45 კალენდარული დღე. არის დანიშნული წესი ძალაში?**

**მამია ასათიანი**

**პასუხი:** სტაჟის გათვალისწინებით შვებულების ხანგრძლივობის გაზრდა ამჟამად მოქმედი კანონით გათვალისწინებული არ არის — საჯარო მოსამსახურისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ რა დროიდან ხორციელდება ქორწინების რეგისტრაცია და შეუძლიათ თუ არა დაქორწინების მსურველ პირებს შეცვალონ განცხადებაში მითითებული დაქორწინების დრო?**

**ანი მოსიაშვილი**

**პასუხი:** განცხადებას დაქორწინების შესახებ ძალა აქვს შეტანიდან ორი თვის განმავლობაში. კანონის თანახმად, ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განმცხადებელთა მიერ მითითებულ დროს, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლი (ბოლო რედაქციით) მათ უფლებას ანიჭებს, შეცვალონ განცხადებაში მითითებული დაქორწინების დრო.

* * *

**კითხვა: ვარ 75 წლის, ერთი თვის წინათ გარდამეცვალა შვილი, რომელიც იღებდა პენსიას, როგორც პოლიციის მუშაკი. მას ცოლ-შვილი არ ჰყოლია, მიუღებელი დარჩა 3 თვის პენსია. არ მაქვს საშუალება, რომ შვილს საფლავი გავუკეთო, ორმოცი და წლისთავი გადავუხადო. გთხოვთ, მაცნობოთ, მომეცემა შვილის კუთვნილი პენსია?**

**ქეთო თავბერიძე**

**პასუხი:** თქვენ როგორც პირველი რიგის ერთადერთ მემკვიდრეს, სრული უფლება გაქვთ, მიიღოთ შვილის მიერ მიუღებელი პენსიის თანხები. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, აგებენ თუ არა მშობლები პასუხს თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ვალების გამო?**

**მიტროფანე ლობჟანიძე**



**პასუხი:** კანონის თანახმად, მშობლები პასუხს არ აგებენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ვალების გამო. მშობელთა პასუხისმგებლობა შვილების სახელშეკრულებო ვალდებულებათა გამო არ წარმოიშობა არც იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თანახმა არიან, მათმა შვილებმა დადონ გარიგება. მშობლები ქონებრივად მხოლოდ მაშინ აგებენ პასუხს, თუ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიერ დადებული ხელშეკრულების გარანტიის მიზნით დამატებითი ქონებრივი პასუხისმგებლობა იკისრეს. მშობლების პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს აგრეთვე მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის.

* * *

**კითხვა: ვარ სახელმწიფო მოსამსახურე. შემიძლია თუ არა შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში, სადაც დღეს ვმუშაობ?**

**ანგელინა ქავთარაძე**

**პასუხი:** საჯარო სამსახურის კანონში 2004 წლის 24 თებერვლიდან შესული ცვლილების შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

* * *

**კითხვა: ერთი წელია, ვმუშაობ საჯარო სამსახურში, ვიცი ორი უცხო ენა, კარგად ვფლობ კომპიუტერს. გავიმარჯვე კონკურსში. შეიძლება თუ არა ჩემი უფრო მაღალ თანამდებობაზე დაწინაურება და როგორი წესით (ამჟამად ვარ უფროსი სპეციალისტი).**

**ევგენი ოგანესიანი**

**პასუხი:** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 76-ე და 77-ე მუხლების შესაბამისად, მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეუძლია იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მისი თანამდებობაზე დანიშვნის უფლება. უფრო მაღალ თანამდებობაზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს ის მოხელე, რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს 6 თვე მაინც და საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ წარადგინა დასაწინაურებლად.

* * *

**კითხვა: ჩემი მეუღლე მსახურობდა ფინანსურ პოლიციაში. იგი ორი თვის წინათ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა. მყავს 12 წლის გოგონა. მე ვარ შრომისუუნარო. გთხოვთ, განმიმარტოთ, მე და ჩემს შვილს გვეკუთვნის პენსია მისი გარდაცვალების გამო?**

**ნინო ვეკუა**

**პასუხი:** სახელმწიფო კომპენსაცია (და არა პენსიაძ, ფინანსური პოლიციის მოსამსახურის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გარდაცვალების შემთხვევაში, ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და მეუღლეს, თუ იგი შრომისუუნაროა. გირჩევთ აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდს. ვინაიდან თუ მეუღლის გარდაცვალებიდან სამი თვის ვადაში მოასწრებთ მიმართვასა და შესაბამისი საბუთების წარდგენას, კომპენსაცია მარჩენალის გარდაცვალების დღიდანვე დაგენიშნებათ.

* * *

**კითხვა: პენსია მერიცხებოდა შემნახველ ბანკში. მეოთხე წელია, არ ვიმყოფები თბილისში. ვარ მწოლიარე ავადმყოფი და მივლის ქალიშვილი, რომელიც ქმარ-შვილთან ერთად ბათუმში ცხოვრობს. ხომ დამიგროვდება ჩემი კუთვნილი ფული შემნახველ სალაროში?**

**ეთერ ორდენიძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, ამჟამად თქვენ პენსია შეწყვეტილი გექნებათ, ვინაიდან 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ მიგიმართავთ მის ასაღებად. პენსიის გაცემა განგიახლდებათ წერილობითი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტის სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალში წარდგენის დღიდან — თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგრამ ეჭვი მეპარება მისი ოდენობის სისწორეში. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით უნდა მომხდარიყო სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრა მეცნიერებათა დოქტორობაზე?**

**არჩევან გარაყანიძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, მეცნიერებათა დოქტორებს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია განესაზღვრათ საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვარ 67 წლის, პენსიის დასანიშნად დღემდე არ მიმიმართავს, ვინაიდან ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში („შპს“-შიძ და არ ვიცოდი, რომ მქონდა მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება. გთხოვთ, განმიმარტოთ, ხომ არ შემექმნება რამე წინააღმდეგობა იმის გამო, რომ პენსიის დასანიშნად 65 წლის შესრულებისთანავე არ მივმართე?**

**ვასილ ნიკოლეიშვილი**

**პასუხი:** პენსიის დასანიშნად მიმართვა პიროვნებას შეუძლია პენსიის დანიშვნის საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ასე რომ, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებითა და პირადობის მოწმობით თქვენი რაიონის სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ დაწესებულებაში, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ ორი კვირის წინათ ხელმძღვანელმა სამუშაოდან დამითხოვა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. ჰქონდა ამის უფლება?**

**კონსტანტინე დარასელია**

**პასუხი:** ახალი შრომის კოდექსი, სამწუხაროდ, აღარ მიუთითებს დამსაქმებლის ვალდებულებაზე — ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, თუ ეს შრომის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## პოეზია

# „ვინც დედაენას დაივიწყებს, დამტირებელსაც დაივიწყებია“

10 წლის ფერეიდნელი გოგონას წერილიდან.
ტელეეკრანიდან გაგონილი.

*ულირსი შვილის შემყურე ენა წუხდა და ოხრავდა,*
*სამშობლოს დამვიწყებელი მიწას რჩებოდა ოხრადა.*
*მიტოვებული, ეული კვდებოდა და ვერც კვდებოდა,*
*სიცოცხლეს ემეტებოდა და სიკვდილს ერცხვინებოდა.*
*არ იყო დამტირებელი, აღარც მოთქმა და გოდება,*
*ასეა, ვისაც სამშობლო და ენა არ აგონდება.*
*ასეა, ის, ვინც თავის ერს და დადაენას ივიწყებს,*
*მშობელი მიწის მოძულეს სხვაგან სამარეს ვინ მისცემს.*
*ცოცხალია თუ მკვდარია, არ შეიფარებს არავინ,*
*ქართველისათვის სხვა ხატი, სხვა სალოცავი არ არი.*
*უცხო ენით არ ითქმება ჩვენი დარდი და ტკივილი,*
*სხვა არის დედაენაზე მოთქმა, გოდება, ტირილი.*
*სხვა არის დედაენაზე ლოცვა, კურთხევა, ღაღადი,*
*ქართული ენით გავძელით, რუსთველის ენით გავლაღდით.*
*თორემ, ყველა, ვინც უცხო ცამ და მიწამ დაიმარტოვა,*
*სიკვდილი როა, სიკვდილიც აღარ დაუდგა პატრონად.*
*იმათ გვარსა და სახელებს სამშობლო არ ათარიღებს,*
*ვინც დედაენას ივიწყებს, დედასამშობლოც არ იღებს.*

# როცა შევდივართ „ევროში“

*როცა შევდივართ „ევროში“ და ქვეყნის*
*თვალში ვდიდდებით,*
*მატულობს საქართველოში ღარიბები და მდიდრები.*
*თუმცა არ არის ადვილი, ხომ უნდა ითქვას სათქმელი,*
*ხომ არ კლებულობს ნამდვილი, პატიოსანი ქართველი.*
*ქართველი ხალხის სისხლ-ოფლით როცა*
*მდიდრდება მავანი,*
*ხომ არ აკლდება სამშობლოს 9 ძმის და ცოტნეს აკვანი.*
*უცხო ფერი რომ ედება ჩვენს იმერსა და ამიერს,*
*ხომ არ აკლდება ხმა-კილო „ლილეს“ და „მრავალჟამიერს“.*
*დედაენას რომ იწუნებს და მეხოტბეა სხვა ენის,*
*ქართული ენის ღალატით ხომ არ მდიდრდება კაენი.*
*ქვეყნის და ერის ღირსება როცა სასწორზე იდება,*
*საქართველოში, ეტყობა, იუდა მაშინ მდიდრდება.*
*აღარ არსებობს ამ ქვეყნად სიმდიდრე არავითარი,*
*შენი ხალხი და სამშობლო თუ არ იქნება მდიდარი.*
*თუმც მტრებმა ბევრჯერ ისურვეს, ვერა,*
*ვერ მოგვითარეშეს,*
*ან საქართველო ვინა თქვა, ქართველი კაცის გარეშე.*
*ღვთისმშობლის მადლი მოგვყვება,*
*არა ხამს თვით გაფიქრებაც,*
*რომ საქართველო მოკვდება, ქართველი აღარ იქნება.*
*წინაპარი რომ მღეროდა, ის არის ჩემი სათქმელიც,*
*იქნება საქართველო და მარად იქნება ქართველიც.*

# ქართვლის დედებო

მარაბდის ომში 9 ათასი ქართველი დაეცა,
მათ შორის 9 ძმა ხერხეულიძე, მათი დედა
და ერთადერთი და. ასევე, 9 მაჩაბელი და 7 ჩოლოყაშვილი.

როგორც დემოგრაფები აღნიშნავენ, ქართველი ერი კატასტროფულად მცირდება და გადაშენების პირასაა მისული.

*თუ მოგვადგება უეცრად მტერი ავი და თავხედი,*
*რამდენი ქეთევანით და თევდორე ბერით დავხვდებით.*
*რამდენი დედა დადგება ქართული დროშით გაშლილი,*
*მტერს შეაკვდება რამდენი მაჩაბელ-ჩოლოყაშვილი.*
*თუ იქ, მარაბდის მიწაზე, ის 9 ათასი გული ძგერს,*
*დღესაც სჭირდება სამშობლოს ის 9 ძმა ხერხეულიძე.*
*ხვალაც იქნება საჭირო გული და მკლავი მაგარი,*
*არაგველები 300 და ვაჟკაცებიც სხვა გვარის.*
*და ღმერთმა ნუ ქნას ნურასდროს (მტერი*
*რას ნახავს უკეთესსძ.*
*ქართველი დედა აკვანს და მამულს*
*გულგრილად უმზერდეს.*
*შვილების ყოლას სმა-ჭამა და გალაღება არჩიონ,*
*ალგეთს გაზრდილი ბიჭები დედის რძეს გადააჩვიონ.*
*ო, ღმერთმა ნუ ქნას, სამშობლოს მათი კალთა*
*არ ფარავდეს,*
*ქართველი დედა არ ზრდიდეს წავკისელსა და მარაბდელს.*
*ჩვენი ჯიში და ჯილაგი ქვეყნად იქნება მანამდის,*
*სანამ ივლიან ბიჭები გაზრდილნი „იავნანათი“.*
*და ჩვენი ბედოვლათობით თუ ბეწვის ხიდთან მივედით,*
*ქართვლის დედებო, თქვენა ხართ, ისევ სამშობლოს იმედი!*

**ნოდარ ჯალაღონია**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

• სამარცხვინო. სხვაგვარად ძნელია შეაფასო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გამოსვლა ლატვიის საკურორტო ქალაქ პალანგაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე



◎ ორბიტაზე

## უკრაინა ხელფასებს ხუთჯერ ზრდის



**უკრაინულ ფეხბურთში იგეგმება მსაჯებისთვის ხელფასების ხუთჯერ გაზრდა. ასეთი წინადადებით შევიდა კიევის „არსენალი“, თანაც მოითხოვა, რომ არბიტრები პროფესიონალები უნდა იყვნენ.**

ამჟამად უკრაინის უმაღლეს ლიგაში მსაჯები მოყვარულები არიან, მსაჯობა მათთვის ჰობია. თითოეული თამაშისთვის ისინი 2 ათას დოლარს ღებულობენ. ეს ერთნახევარჯერ ნაკლებია, ვიდრე რუსეთელი არბიტრების, და სამ-ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე მათი ევროპელი კოლეგების გასამრჯელო. თანაც უკრაინაში თუ მსაჯმა ცუდად იმსაჯა, ჰონორარის ნახევარს ან მეოთხედს მიიღებს.

„არსენალი“ მოითხოვს, მსაჯებისთვის 10 ათასი დოლარის გადახდას და პენსიით უზრუნველყოფას.

ერთადერთ ხელშემშლელ პირობად მხოლოდ იმას მიიჩნევენ, რომ უკრაინაში მსაჯის „პროფესია“ არ არსებობს და ის საკანონმდებლო დონეზე უნდა შემოიღონ, თუმცა იმაზე მაინც ეჭვობენ, რომ უკრაინის პარლამენტში ფეხბურთი მიანც და მაინც არ უყვართ!

## ფედერერის 50-ე გამარჯვება



**კვირა დილას, გათენებისას (ჩვენი დროით) პლანეტის პირველმა ჩოგბანოსანმა, შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა კარიერაში 50-ე ტურნირი მოიგო. მან ცინცინატში გამართულ ტურნირზე ფინალში ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი დაამარცხა – 6:4, 6:1.**

ფედერერი 8 სექტემბერს 26 წლის გახდა. ამ ასაკში ამდენი გამარჯვება მხოლოდ ოთხ ჩოგბურთელს ჰქონდა – ბორგს, კონორს, მაკენროის და ლენდლს.

## ყალთაბანდ მსაჯს ციხე ელის

**თანაც 25-წლიანი პატიმრობით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სასჯელი უნდა დაიმსახუროს ნბა-ს 40 წლის მსაჯმა ტიმ დონახემ, რომლის საქმის განხილვა დაიწყო ნიუ-იორკის სასამართლომ. მას ბრალად ედება იმ მატჩების შედეგებზე გავლენა, რომელსაც ის მსაჯობდა.**

სასამართლოს სხდომაზე დონახემ აღიარა, რომ თავის თანამზრახველებს აწვდიდა გაშიფრულ რეკომენდაციებს საბუკმეკერო ფსონების თაობაზე, რაც მათ უნდა გაეკეთებინათ ამა თუ იმ მატჩის შედეგებზე, ან მოთამაშეების მდგომარეობაზე.

ყოველ „გაყიდულ“ მატჩზე ის 5 ათას დოლარს ღებულობდა.

დონახე აცხადებს, რომ პათოლოგიურადაა გატაცებული აზარტული თამაშებით. თუმცა უარყოფს იმ ბრალდებას, თითქოს



თავადაც ჩადიოდა ფსონებს იმ თამაშებზე, რომლებზეც მსაჯობდა.

ასე რომ, ყალთაბანდ მსაჯს ემუქრება 25-წლიანი პატიმრობა, აგრეთვე, ჯარიმა – 500 ათასი დოლარი და სასამართლო ხარჯებისთვის 30 ათასი დოლარი.

◎ ფეხბურთი

# აქეთური, იქეთური

**თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ზუგდიდში ფეხბურთი დაბრუნდა. ეს პარლამენტარ ლაშა დარასელიასა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის კოტე კემულარიას ძალისხმევით მოხერხდა.** სწორედ მათი ინიციატივით განახლდა ქალაქის სტადიონი და შეიქმნა კლუბი „მგლები“, რომელმაც XIX ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში პირველი გამარჯვება შინ თბილისის „მერანთან“ მოიპოვა – 1:0 (ჩხეტია). დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „მესხეთი“ – „ზესტაფონი“ 0:2 (გომეში, ფიფია), „ამერი“ – „დილა“ 3:2 (ტატანაშვილი, ჩიკვილაძე, დავითაშვილი; სადაღაშვილი, ჩიტაია), „ბათუმი“ – „ოლიმპი“ 0:1 (კოშკაძე), „სპარტაკი“ – „ბორჯომი“ 0:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 1:0 (დათუნაიშვილი). გადაიდო თბილისის „დინამოსა“ და ბოლნისის „სიონის“ მატჩი.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“, „ ვიტ ჯორჯია“, „ბორჯომი“ – 4-4, „დინამო“, „ამერი“, „დილა“, „ლოკომოტივი“, „მგლები“, „ოლიმპი“, „მესხეთი“ – 3-3, „სპარტაკი“ – 2, „სიონი“ – 1, „ბათუმი“, „მერანი“ – 0-0 ქულა.

* * *

**ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურ შეხვედრას სტუმრად ლუქსემბურგელებთან გამართავს. მას შემდეგ, რაც ავადმყოფობის გამო „ჯვაროსნებს“ სალუქვაძე და ელიავა გამოაკლდნენ, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდის შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო:**

**მეკარეები:** ლომაია, თევდორაძე.

**მცველები:** ხიზანეიშვილი, კალაძე, ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი.

**ნახევარმცველები:** კვირკველია, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ასათიანი მენთეშაშვილი, მუჯირი, ბურდული.

**თავდამსხმელები:** იაშვილი, ჯაკობია, გიგიაძე, მარცვალაძე, სირაძე, დემეტრაძე.

* * *

**ხვალვე მნიშვნელოვანი გამოცდის ჩაბარება მოუწევს ჩვენი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებსაც. პეტარ სეგრტის გაწვრთნილი ახალგაზრდები „ევრო – 2009“-ის შესარჩევ მატჩში მეტოქის მინდორზე პოლონელებს ეთამაშებიან. სამწუხაროდ, ტრავმების გამო სამშობლოში დარჩნენ მჭედლიშვილი და დაუშვილი, დანარჩენები კი, ვიმედოვნებთ, თავს არ შეირცხვენენ:**

**მეკარეები:** ლორია, მაკარიძე.

**მცველები:** ღვინიანიძე, ფოფხაძე, ნავალოვსკი, ლობჟანიძე, კაშია, გვაძაბია.

**ნახევარმცველები:** გრიგალაშვილი, მერებაშვილი, კობახიძე, ბენაშვილი, სანაია, მახარაძე, ხიდეშელი, კახელიშვილი, ყენია.

**თავდამსხმელები:** ჭელიძე, ბარაბაძე, გოცირიძე.

* * *

**სამარცხვინო.** სხვაგვარად ძნელია შეაფასო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გამოსვლა ლატვიის საკურორტო ქალაქ პალანგაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე. ჰერბერტ ცანკერის შეგირდები ჯერ აზერბაიჯანელებთან დამარცხდნენ – 0:2, ხოლო შემდეგ რუს თანატოლებს მისცეს განავარდების საშუალება – 0:4 და დღეს ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრას მასპინძლებთან მოაწყობენ.



* * *

**იტალია. სუპერთასი.** „ინტერი“ – „რომა“ 0:1.

**ბერლუსკონის თასი.** „მილანი“ – „იუვენტუსი“ 2:0.

**ესპანეთი. სუპერთასი**. „რეალი“ – „სევილია“ 3:5 (პირველი მატჩი 0:1).

**ინგლისი. III ტური.** „სიტი“ – „მანჩესტერი“ 1:0, „ლივერპული“ – „ჩელსი“ 1:0, „უიგანი“ – „სანდრლენდი“ 3:0, „რედინგი“ – „ევერტონი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სიტი“ – 9, „ჩელსი“ – 7, „უიგანი“, „ევერტონი“ – 6:6 ქულა.

**შემდეგი ტური:** „არსენალი“ – „სიტი“, „ჩელსი“ – „პორტსმუთი“, „ვესტ ჰემი“ – უიგანი“, – ევერტონი“ – „ბლექბერნი“.

**გერმანია. II ტური.** „ვერდერი“ – „ბაიერნი“ 0:4, „ჰამბურგი“ – „ლევერკუზენი“ 1:0, „შალკე“ – „ბორუსია“ 4:1, „ბილეფელდი“ – „აინტრახტი“ 2:2, „კოტბუსი“ – „ბოხუმი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** – „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ – 6-6, „შალკე“, „ბილეფელდი“, „ბოხუმი“, „აინტრახტი“ – 4-4 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“ – „ჰანოვერი“, „ბოხუმი“ – „ჰამბურგი“, „ვოლფსბურგი“ – „შალკე“, „აინტრახტი“ – „ჰანზა“.

**საფრანგეთი. IV ტური.** „ლორიანი“ – „ლიონი“ 2:1, „ლე მანი“ – „ლილი“ 1:1, „მარსელი“ – „ნანსი“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლორიანი“, „ლე მანი“, „ნანსი“ – 10-10 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბორდო“ – „ლორიანი“, „მონაკო“ – „ლე მანი“, „ნანსი“ – „ოსერი“.

◎ ძალოსნობა

## გამარჯვება მშობლიურ ქალაქშიც იზეიმა

**საჩხერეში დამთავრდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის საუკეთესო ათლეტებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის – ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში მას მეტოქეობა ვერავინ გაუწია და, ცხადია, ასანიძემაც აქტიურ სპორტში დაბრუნება მშობლიურ რაიონში ოქროს მედლით აღნიშნა.**



ტურნირისას საუკეთესო ძალოსნისთვის განკუთვნილი პრიზი არსენ კასაბიევს ხვდა, ხოლო კახი კახიაშვილის თასი იმედისმომცემი სპორტსმენისთვის გიორგი ლომთაძეს ერგო.

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით:**

**56 კგ. 1.** ზვიად სამუკაშვილი (დედოფლისწყარო); 2. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი), 3. ზაზა ფუტკარაძე (ბათუმი).

**77 კგ. 1.** პაატა გეგეშიძე (ქუთაისი), 2. ნიკა ცანავა, 3. დავით გოგია (ორივე – ზუგდიდი).

**85 კგ.** 1. გიორგი ასანიძე (საჩხერე), 2. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი), 3. თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი).

**95 კგ.** 1. არსენ კასაბიევი (ცხინვალი), 2. თეიმურაზ გოგია (ზუგდიდი), 3. ვაჟა ლონლაძე (ქუთაისი).

**105 კგ.** 1. გიორგი მაჭავარიანი (ბათუმი), 2. გია ბეჟიტაშვილი (თბილისი), 3. ირაკლი თურმანიძე (ბათუმი).

**ზემძიმე წონა.** 1. თორნიკე კოკაია (სოხუმი), 2. ავთანდილ ცერცვაძე, 3. ლევან მამაცაშვილი (ორივე – თბილისი).

◎ ჩოგბურთი

## ზედიზედ მესამე ტიტული

**ამას წინათ 22 წლის ლადო ჩიხლაძემ თბილისში ზედიზედ ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო.** შემდეგ იგი მიუნხენს გაემგზავრა და იქაურ შეჯიბრებაში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) მიიღო მონაწილეობა. რეიტინგის მიხედვით, ორგანიზატორებმა პირველ ნომრად განთესეს და ლადომაც დაამტკიცა, რომ ამ ტურნირში ბადალი არ ჰყავდა. ნახევარფინალში უნგრელ ბარდოჩკის აჯობა – 6:3, 6:4, გადამწყვეტ პაექრობაში კი ჩეხ მარტინ ვაჩეკს დააყრევინა ფარ-ხმალი – 4:6, 7:5, 6:3. ამ გამარჯვებით ქართველმა ჩოგბურთელმა წლის სარეიტინგო მონაგარი 12 ქულით გაიმდიდრა.

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

**ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმად პირველი სექტემბრიდან გაიზრდება სტუდენტური სტიპენდიების რაოდენობა**



**რა არ ხდება**

## ჰიმნში მეფე „დაავიწყდათ“



**ახალგაზრდებს თუ არა, ხანდაზმულ ხალხს მაინც ახსოვს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს ჰიმნებში ლენინისა და სტალინის სახელები ქუხდა.**

ასე იყო ნეპალშიც. იქაური სახელმწიფო ჰიმნი ადიდებდა მონარქიას, მაგრამ ამ ერთი წლის წინათ ქუჩის მასობრივი პროტესტების შემდეგ, ის უცერემონიოდ გააუქმეს. მეფე კი პოლიტიკას შეეშვა და პარლამენტი აღადგინა.

ახლა მეფე გიანენდრა აღარაა სახელმწიფოს მეთაური და არც შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ეს უმალ აისახა ახალ ეროვნულ ჰიმნშიც.

თუ ადრინდელი ჰიმნი იწყებოდა სიტყვებით: „დე, გამკობდეს შენ დიდება, უშიშარო სუვერენო!“, ახალში ერთი სიტყვაც აღარაა 240-წლიან მონარქიაზე.

ახალ ჰიმნში ახლა უმღერიან მშვიდობიან მიწა-წყალს, ცოდნას, მთა-ველებს, რომლებიც „ყვავილების თაიგულივითაა ერთად შეკონილი“. ჰიმნში ასევე ადიდებენ „25 წამებულს“, შარშანდელი იმ მასობრივი პროტესტების დროს რომ დაიღუპა და ბოლო მოეღო მეფის მმართველობას.

ჰიმნმა ჯერ პარლამენტში, შემდეგ კი ნეპალის ტელევიზიისა და რადიოს პირდაპირ ეთერში გაიჟღერა.

არც მეფესა და არც სამეფო კარის რომელიმე წარმომადგენელს ახალ ჰიმნზე კომენტარები არ გაუკეთებიათ.

როგორც ამბობენ, ეს მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში მაოისტთა დიდი გამარჯვებაა. ახლა ისინი მრავალპარტიულ მთავრობაში შევიდნენ.

## „წერას ატანილი“ ტვინი



**გერმანიაში ქირურგებმა შეძლეს ქალის ტვინიდან ფანქრის ნატეხის ამოღება, რომელიც იქ 55 წელი იდო.**

როდესაც მარგარეტ ვეგნერი 4 წლის იყო, ის ფანქრით თამაშობდა, წაიქცა, ხოლო 8 სანტიმეტრის სიგრძის ფანქარი ლოყაში და მარჯვენა თვალის ზემოთ გაერჭო. კინაღამ მხედველობის ნერვიც კი დააზიანა. მაშინ, თავის ტვინის სიახლოვის გამო, ექიმებმა უარი თქვეს ოპერაციაზე.

მას შემდეგ ქალს თავის ტკივილები და ცხვირიდან სისხლდენა აწუხებდა.

გამოიყენეს რა ვეგნერის თავის ქალის შიდა, სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცია და ენდოსკოპიური ხელსაწყოები, ბერლინელმა ქირურგებმა, პროფესორ ჰანს ბერბომის ხელმძღვანელობით, მხოლოდ ახლა ამოიღეს თავიდან ფანქარი. იქ მხოლოდ 2-სანტიმეტრიანი ფრაგმენტი დარჩა. რაც, ექიმების აზრით, არავითარ დისკომფორტს არ გამოიწვევს.

## მწვანე კონტინენტის „სასწაულები“



**სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი... დარწმუნებული ვართ, ავსტრალიელ ფილის ტერნერს არასდროს წაუკითხავს ეს აფორიზმული სტრიქონები, არც მის ავტორზე, დიდ ქართველ პოეტზე დავით გურამიშვილზე სმენია რამე, მაგრამ მაინც ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მიიყვანა ასეთსავე დასკვნამდე, რომ სწავლა არასოდესაა გვიან და ამ მხცოვან ქალბატონს ადელაიდეს უნივერსიტეტის კარი შეაღებინა. გაჭირვებამ და დედის დახმარების სურვილმა მას, 12 წლისას, მიატოვებინა სკოლა, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი კი არ დაეკარგა, სულ უფრო უმტკიცდებოდა. ახლა ის მსოფლიოში ყველაზე უხნესი — 94 წლის კურსდამთავრებული, ანთროპოლოგიის სპეციალისტია.**

შეიძლება, ვინმემ წაიქილიკოს კიდევაც — რაო, საიქიოში უდიპლომოდ არ შეუშვებდნენო, მაგრამ...

შორეული მწვანე კონტინენტი ხანდაზმულთა სხვა „სასწაულებითაც“ იწონებს თავს.

ახლახან კიდევ ერთმა ავსტრალიელმა ქალბატონმა მოახდინა ფურორი გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მაგიდის ჩოგბურთში. მართალია, 95 წლის დოროთი დე ლოუს მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ ამ შეჯიბრების ყველაზე ხანდაზმული მონაწილე კი იყო. თუმცა არც საჩემპიონო მედლებია მისთვის „უცხო ხილი“. წარსულში, უკვე საკმაოდ ასაკოვანმა, მან გამარჯვება მოიპოვა როგორც წყვილთა, ისე ერთეულთა პაექრობაში.

ერთიც, 84 წლის ბებია ნორა ითვლება მსოფლიოში კომპიუტერული თამაშების ყველაზე მხცოვან მოყვარულად.

თუმცა 107 წლის ოლივ რაილი ძველებურად ვეღარ ათამაშებინებს თითებს კლავიშებზე, მაგრამ ახლობელი მაიკის დახმარებით, ის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა — მსმენელებისთვის გადასცემს ხანგრძლივი ცხოვრების მოგონებებს, აჩვენებს გახუნებულ ფოტოებს და რჩევა-დარიგებებსაც არ იშურებს ონლაინში.

## მწეველებისა და ღიპიანების გასაგონად



**თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაშლილია ჯანსაღი ცხოვრების წესის ტოტალური პროპაგანდა, საშუალო სტატისტიკური ამერიკელი მაინც იმატებს წონაში. სქელდება, ღიპს იდებს, გამუდმებით აბოლებს და არც დალევაზე ამბობს უარს. რასაკვირველია, დემოკრატიულ საზოგადოებაში არავის აქვს ამის აკრძალვის უფლება, მაგრამ ამ მავნე ჩვევების წინააღმდეგ განგაში ატეხეს სამუშაოს მიმცემებმა, რადგან მუშახელის ასეთი დამღუპველი მიდრეკილებანი მათ დიდად აზარალებს.**

უკვე დიდი ხანია, ამერიკულ ფირმებში შემოღებულია პრემიები იმ თანამშრომელთათვის, ვინც განუხრელად ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე. თუმცა სამედიცინო დაზღვევაზე მზარდმა ხარჯებმა აიძულა ისინი „თაფლიკვერები“ შეეცვალათ „შოლტით“.

მაგალითად, კომპანია Weyco მიჩიგანის შტატში ავალდებულებს თავის თანამშრომლებს ნიკოტინზე ტესტის გავლას. ყველა გამოვლენილმა მწეველმა უნდა გაიღოს 65 დოლარი მედდაზღვევისთვის. უფრო შორს წავიდა სასუქის მწარმოებელი კომპანია Scotts, ისინი საერთოდ ათავისუფლებენ მწეველ მუშაკებს, თუნდაც, ისინი მხოლოდ შინ აბოლებდნენ.

დიდ სიმკაცრეს იჩენენ ღიპიანების მიმართ ინდიანაში, ფირმაში Clarian, იქ ყოველ ორ კვირაში ხელფასიდან 30 დოლარს უქვითავენ ყველა იმას, ვინც არ ზრუნავს ზედმეტი წონის დაკლებისთვის.

უმსხვილესი ავტოკონცერნის „ჯენერალ მოტორსის“ თავკაცი რაკ ვაგინერი ამ დღეებში გაოცებული აღიარებდა: „როდესაც ამ საწარმოში მოვედი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სამედიცინო ხარჯების მმართველი გავხდებოდი“, აქ სამედიცინო დაზღვევის ხარჯები შეადგენს 1500 დოლარს, რაც თითოეული ავტომანქანის ფასში შედის!

რა კეთდება ამ მხრივ ჩვენში? თითქმის არაფერი, ალბათ გახსოვთ, ამას წინათ საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივ ადგილებში წევის აკრძალვის კანონიც კი მიიღო. მაგრამ, როგორც ჩანს, ის პირველ რიგში თავად პარლამენტარებმა დაივიწყეს.

## საფალარათო ბანანები



**ხელგაწაფულმა ჯიბის ქურდმა შეიხ მოხსინმა კალკუტაში სათამაშოების მაღაზიაში შესულ ქალბატონს 1100 დოლარად ღირებული ყელსაბამი ააცალა. მაგრამ შორს ვერ გაიქცა, პოლიცია გამოეკიდა და როცა ეწეოდნენ, ქურდბაცაცამ, რათა კვალი დაეფარა, ყელსაბამი გადაყლაპა.**

რენტგენის სურათმა უმალ აღმოაჩინა ქურდის კუჭში ძვირფასი საიუველირო ნაკეთობა.

ინდოეთის პოლიციამ ქურდობაში ეჭვმიტანილს ჯერ 50 ბანანი შეაჭამა, შემდეგ ბრინჯი, ქათმის ხორცი და ადგილობრივ გამომცხვარი პური დააყოლებინა. როცა ამ „საფალარათო საშუალებებმა“ გაჭრა, და ნაქურდალი „იშვა“, შეიხ მოხსინი აიძულეს, თავად კარგად გაერეცხა ყელსაბამი.

*უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა*
**ვალიკო სიმონიშვილმა**

**ინფორმაცია**

### ვლადიმერ პუტინმა სტუდენტებს სტიპენდიები მოუმატა

**ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმად პირველი სექტემბრიდან გაიზრდება სტუდენტური სტიპენდიების რაოდენობა.**

დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების დაწესებულებებში სტიპენდიები 210 რუბლიდან გადიდდება 315 რუბლამდე, ხოლო ფედერალურ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში — 600-დან 900 რუბლამდე (37 ლარიდან 56 ლარამდე). დანამატს სულ 1 მილიონ 800 ათასი ახალგაზრდა მიიღებს.

### რუსებს ალბიონზე ცუდად ეკიდებიან

**დიდ ბრიტანეთში რუსეთის ელჩმა იური ფედოტოვმა გაზეთ The Sunday Times-სთვის მიცემულ ინტერვიუში მოულოდნელი საკითხი წამოჭრა — ინგლისელთა ერთობ ცივი, ზოგჯერ კი შეუწყნარებელი დამოკიდებულება რუსების მიმართ.**

— ჩემთვის ცნობილია ალბიონზე რუსეთელდამი ცუდი დამოკიდებულების არაერთი შემთხვევა, დაწყებული უხეში მოპყრობიდან ან მაღაზიებსა და რესტორნებში გულგრილობიდან პირდაპირ ფიზიკურ ძალადობაზე.

ლონდონში ჩამოსულ ტურისტებს, ბიზნესმენებს, სხვა სტუმრებს შეუბრალებლად სცემდნენ მოზარდები, პოლიცია კი ამდენ კონკრეტულ შემთხვევაში არც იწყება გამოძიებას. სამაგიეროდ, ბრიტანელი წესრიგის მცველნი შესაშურ აქტივობას იჩენდნენ და იჩენენ, როცა კანონს რუსეთელები არღვევენ.



ვიცი მაგალითი, როცა რუსმა ქალმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები. უმალვე დააპატიმრეს და ხელბორკილები დაადვეს, — ჰყვება დიპლომატი.

ძნელი სათქმელია, ეს რუსოფობიაა თუ ქსენოფობიის მორიგი გამოვლენა, რაც აქ ასე ვრცელდება. ასეა თუ ისე, რუსეთი და რუსეთელები ბრიტანეთში უფრო მეტად „ინერგებიან“, ვიდრე სვეკეთილი ამერიკელები ან თუნდაც არაბი მენავთობე შეიხები:

ინგლისში მცხოვრებ რუსეთელთა რიცხვი 400 ათასამდეა (ლონდონში — 150-200 ათასი); რუსეთიდან ბრიტანეთში ტურისტების ნაკადი ყოველწლიურად 170 ათასამდე კაცს შეადგენს; ბოლო 7 წელიწადში დიდ ბრიტანეთში უძრავ ქონებაში ჩადებული „რუსული“ ინვესტიციები აღწევს 2,2 მილიარდ დოლარს...

**რუსეთული პრესის მიხედვით**

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

# სკანდალი

● ბოტულიზმის გავრცელებით საქართველო მსოფლიოში პირველია, გავითვალისწინოთ ეს რჩევები, გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას



## ⊙ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას

მახსოვს, ბებიაჩემი თიხის ქოცოებში (ქვევრის ფორმის მოზრდილ ბოლოწაკვეთილ ქილებში) ბოსტნეულს ნაირ-ნაირად ამწნილებდა. ყოველ წელიწადს, მარანში, შემოდგომიდან გვერდიგვერდ გვედგა კომბოსტოს, პომიდვრის, კიტრის, წიწაკის მწნილიანი ქოცოები და ლამის შუა გაზაფხულამდე გვყოფნიდა. ასე იყვნენ სხვებიც.

ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვება მაშინ „მოდაში" არ იყო (არ იცოდნენ) და მწნილების გარდა ზამთარ-გაზაფხულისთვის ქორფა მწვანე ლობიოს და ბადრიჯანს ვიწრო-ვიწროდ, სიგრძივ ჭრიდნენ და ახმობდნენ, ასევე იმარაგებდნენ ხილს ჩირისა და კერკის სახით.

კონსერვების შემოღებამ, მისმა ბუმმა ზამთარ-გაზაფხულის მენიუ საგრძნობლად კი გაგვიმრავალფეროვნა, მაგრამ დიდი საფრთხეც შეგვიქმნა. წელიწადი ისე არ გავა, კონსერვებით გამოწვეულმა მოშხამვამ — ბოტულიზმმა ადამიანების სიცოცხლე რომ არ შეიწიროს.

მედიცინის მუშაკები პერიოდულად გვახსენებენ, გვაფრთხილებენ, რომ თავი შევიკავოთ ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვებისაგან. ხოლო, თუ მაინცდამაინც აუცილებლად მიგაჩნიათ, დიდი სიფრთხილით ტექნოლოგიის სრული დაცვით მოეკიდეთო, რადგანაც ბოტულიზმით დაავადებისა და მისი მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზე ყოფილა მსოფლიოში!

ახლა გაგანია ზაფხულია, კონსერვების დამზადების „ზენიტი". ამიტომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა წლეულსაც სიფრთხილისკენ მოუწოდა ჩვენს დიასახლისებს.

ახლა იმის შესახებ, თუ რა არის ბოტულიზმი და როგორ დავიცვათ თავი ამ საშინელი დაავადებისგან.

# სიკვდილი სამომავლოდ...

## ბოტულიზმის გავრცელებით საქართველო მსოფლიოში პირველია

ბოტულიზმი უმძიმესი დაავადებაა, რომელიც ინტოქსიკაციით (მოშხამვაძ და ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარეობს. ეს სასიკვდილო საფრთხე ხშირად ჩვენსავე საკუჭნაოში იმალება. საქართველოში ბოტულიზმით ავადობის შემთხვევებმა მკვეთრად მოიმატა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ფართოდ დამკვიდრდა ოჯახურ პირობებში ბოსტნეული პროდუქტების (ბადრიჯანი, მწვანე ლობიო, პომიდორი, კიტრი, დანდური, წიწაკა, სტაფილო, სოკო და სხვაძ და ხილის დაკონსერვება. აგრეთვე კუსტარული წესით შებოლილი თევზისა და ხორცის დამზადება.

ქვეყანაში პერიოდულად აღინიშნება ბოტულიზმით დაავადების ცალკეული და ჯგუფური შემთხვევები, რაც უმეტესწილად კუსტარულად დამზადებული სათალის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერია (კლოსტრიდიაძ ცხოველებისა და თევზების ნაწლავებში ბინადრობს. გარემოში (ნიადაგშიძ მოხვედრისას წარმოქმნის სპორებს და ჩვეულებრივ, ნიადაგის მიკროფლორის წარმომადგენელია. ნიადაგთან ერთად საკვებზე მოხვედრის შემთხვევაში სპორა გარდაიქმნება ვეგეტაციურ (ცხოველმყოფელძ ფორმად, პროდუქტში მრავლდება და წარმოქმნის შხამს, რომელიც საკვებში გროვდება. სპორები შეიძლება მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში და ბოტულიზმი არ განვითარდეს. მაგრამ, საკმარისია სპორა აღმოჩნდეს უჟანგბადო არეში, რომ მისგან მაშინვე „გამოიჩეკოს" ბუტულიზმის ჩხირები და დაიწყოს სასიკვდილო შხამის გამომუშავება. ასეთი პირობები კი შეიძლება შეიქმნას ჰერმეტულად დახურულ კონსერვში, ქეხვში, შებოლილ თევზში, ლორში. სპორები ძალზე გამძლენი არიან და საათობით დუღილს უძლებენ. მათი ინაქტივიზაციისათვის (გასაუვნებლებლადძ საჭიროა ცელსიუსის 120 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა.

**ბოტულიზმით დაავადების კლასიკური სიმპტომებია:**

მხედველობის გაორება ან დაბინდვა, მეტყველებისა და ყლაპვის გაძნელება, თვალის ქუთუთოების დამბლა, ყრუ ტკივილები მუცლის არეში, გულისრევა, თავბრუსხვევა. ბოტულიზმით ავადობის მძიმე შემთხვევის დროს შეიძლება ავადმყოფი დაიღუპოს.

დაავადება ვითარდება ტოქსინიანი პროდუქტების მიღებიდან 4-18-36 საათში ან 10 დღეშიც კი. ეს დამოკიდებულია მიღებული ტოქსინის რაოდენობაზე. ყველა გამოკვეთილ და საეჭვო შემთხვევაში აუცილებელია ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია.

ბოტულიზმის გართულების დროს ავადმყოფს უვითარდება სასუნთქი გზების დამბლა. ასეთ დროს მას აუცილებლად ათავსებენ რეანიმაციის განყოფილებაში. დიაგნოზის დასმის შემდგომ გამოიყენება ანტიტოქსიკური შრატი, რომელიც აფერხებს სისხლში მოძრავ ტოქსინს, ეს ავადმყოფს იცავს მდგომარეობის გაუარესებისაგან, თუმცა მისი საბოლოო გამოჯანმრთელებისათვის მაინც რამდენიმე კვირაა საჭირო.

ყველამ, ვინც ბოტულიზმით დაბინძურებული საეჭვო პროდუქტი მიიღო, აუცილებელია სამედიცინო მეთვალყურეობა 10-12 დღის განმავლობაში.

**ბოტულიზმს თავიდან ავიცილებთ,** თუ შინაურ პირობებში კონსერვების დასამზადებლად შევარჩევთ ახალ პროდუქტებს და გულმოდგინედ გავრეცხავთ (თავი შევიკავოთ ისეთი პროდუქტების ჰერმეტულად დაკონსერვებისგან, რომელთა გარეცხვის დროს დიდია მათზე ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა. მჟავე კიტრი და პომიდორი ჯობს ტრადიციულად მოუხუფავად დავამზადოთძ. საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები, შევინახოთ გრილ ადგილას. საკვებად არ გამოვიყენოთ სახურავშებერილი კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად წამოვადუღოთ ან შევწვათ 10-15 წუთის განმავლობაში. ასევე თერმულად უნდა დამუშავდეს წვრილ ნაჭრებად (სისქით არა უმეტეს ერთი სანტიმეტრისაძ დაჭრილი ყველა საეჭვო პროდუქტი, არ შევიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებოლილი თევზი (სათალიძ, შაშხი, ძეხვი და კონსერვები.

გავითვალისწინოთ ეს რჩევები, გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

**ბელა დურგლიშვილი**

---

სს „თამ"-ის (თბილავიამშენი) აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

## განცხადება

**სს „თამ"-ის (თბილავიამშენიძ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 12 სექტემბერს, 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა №181, სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზი.**

**დღის წესრიგი:**

● სს „თამ"-ის რეორგანიზაციის შესახებ (საწარმოო ერთეულის გამოყოფაძ. დღის წესრიგის საკითხის გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „თამ"-ის კორპორაციულ მდივანთან, ტელ. 707-145.

სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2007 წლის 10 აგვისტო.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან სს „თამ"-ის ჩვეულებრივი სახელობითი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2007 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით და საერთო კრებაზე დასასწრებად წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერებს რეესტრიდან ამონაწერის მიღება და კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ სს „თამ"-ის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან შ.პ.ს. „თბილისის" რეესტრი", მისამართზე: თბილისი, გ. აბაშიძის ქუჩა №2, ტელ. 24-46-77.

**სს „თამ"-ის სამეთვალყურეო საბჭო**

---

**შპს „ტანჯულა" /ყოფ. „საფი"/ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ სტანისლავსკის სამხრეთ ფარეხის ქ. №84. ტელ. 99-93-80 მობ. 855518828.**

---

**„ICT International Group"-ის საქართველოში წარმომადგენლობის ფილიალ „ივერსის", რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებაში (საიდენტიფიკაციო ნომრით 202053632,** დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის 1997 წლის 17 ივნისის სასამართლო დადგენილებით №2/გ-48, **მისამართი:** დ. აღმაშენებლის გამზ. №153), ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებულმა პირმა, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №153.**

**ტელ: 94-14-91, 94-18-28.**

**სალიკვიდაციო კომისია**

---

**სს „თბილისის ქაღალდის ფაბრიკა" აცხადებს აქციონერთა საერთო კრებას ა/წლის 10 სექტემბერს 15 საათზე. მის. თბილისი, ბ. ხმელნიცკის 44.**

---

## ხსოვნა

# ვერა ბუაჩიძე



**გარდაიცვალა წყალთა მეურნეობის დარგის ცნობილი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერთა შორის აღიარებული და პატივცემული კოლეგა, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ვერა მოსეს ასული ბუაჩიძე.**

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. ბუაჩიძემ სწავლა განაგრძო საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში.**

**ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი წარმატებით იცავს დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის მიერ დამუშავებული საკითხები ყოველთვის მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა და სარგებლობდა ნდობით წარმოების დარგის მუშაკთა შორის, რისი დასტურიცაა მისი მეცნიერული შემოქმედება, მიძღვნილი საქართველოში სარწყავი სისტემების მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხებისადმი.**

**საქმისადმი ერთგულებით, თავმდაბლობითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეულს, მას დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული არა მარტო მის მშობლიურ კოლექტივში, არამედ წყალთა მეურნეობის და მელიორაციის დარგის მრავალრიცხოვან კოლეგებს შორის.**

**დღეს ყველა მწუხარებით ვეთხოვებით ქალბატონ ვერას, რომლის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მეგობრების გულში.**

**საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, სს „საქწყალპროექტი".**

---

**მეუღლე თალიკო ხონელიძე, შვილები იალინა, ნანი, რობერტი, იზაბელა, ნუგზარი, რძლები ქეთევან პაპავა, რუსუდან ჩიტეიშვილი, სიძეები ალიოშა ბოკუჩავა, ვიტალი სოლომონია, შვილიშვილები, შვილთაშვილები და უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მირიან ყარამანის ძე ჭანტურია**

**დაკრძალვა 21 VIII, 17 სთ. მისამართი: აბაშა, განათლების კარი.**

● მოხელეები აღარ მოითხოვენ, რომ აკადემიის საქმიანობას მკაცრი დამკვირვებელთა საბჭო უწევდეს მეთვალყურეობას



ქვაჩასავით დავიგვიანეთ

# იქ კი გაიმარჯვეს, მაგრამ ჩვენთან?..

**იმისათვის, ბრძოლაში თუ ვის დაემორჩილოს და როგორი იყოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემია (რმაძ, იქაურმა აკადემიის წევრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. რფ-ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბოლოს და ბოლოს მოიწონა რმა-ის წესდების იმათი ვარიანტი. უფრო მეტიც, მოხელეები აღარ მოითხოვენ, რომ აკადემიის საქმიანობას მკაცრი დამკვირვებელთა საბჭო უწევდეს მეთვალყურეობას.**

რმა-ის მთავარი დოკუმენტის პროექტი არსებითად არის ძველის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი, ასე რომ, ახალი ძველი წესდება გამოვიდა. დაემატა მხოლოდ ფრაზები, რომ რმა-ის პრეზიდენტს ამტკიცებს რფ-ის პრეზიდენტი, ხოლო მთავრობა აკადემიის წესდებას „ავიზირებს“. მთავარი, რასაც ხელისუფლების ჩინოვნიკები იჟინებდნენ – საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასა და იჯარით ქონების გაცემაზე დამოუკიდებელი კონტროლი – აკადემიკოსებმა მარჯვედ გააცურეს. წესდებაში ვერც აკადემიის მესვეულრთა ასაკობრივი ცენზის ხსენებას შეხვდებით.

განათლების და მეცნიერების სამინისტრო დიდხანს ეწინააღმდეგებოდა დოკუმენტის ასეთ ვარიანტს, მაგრამ სწავლულებმა უშუალოდ ვლადიმერ პუტინს მიმართეს მხარდასაჭერად და გაიტანეს კიდევაც თავისი. მათ მშვენივრად ესმით, რომ საბჭოური ხანიდან შემორჩენილი ქონება, კერძოდ, მრავალრიცხოვანი საუწყებო დაწესებულება – შენობა უზარმაზარი ფული ღირს და სწორედ ამ ქონებაზე ეჭირათ დიდმოხელეებს თვალი.

... მაგალითი კარგიც შეიძლება გადამდები იყოს და ჩვენთანაც ეგებ ღირდა პირველი პირისათვის პირდაპირ მიმართვა დასახმარებლად, მაგრამ მგონი ქვაჩასავით დავიგვიანეთ...

**რუსეთული პრესის მიხედვით**

სულიერება

# წმიდა ექვთიმე – ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი



**21 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ექვთიმეს, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარს, რომელსაც „მრავალღვაწლმშრომელად“ მოიხსენიებენ.**

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ექვთიმე იყო „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებითა ზედა უცხო მოქადაგე, ამან ფრიად ილვაწა მონასტრისათვის და აღაშენა სოფელი ხაშმი, რომელიც იყო ქსნის ერისთავის (მიერძ ლეკთა მოყვანის მიზეზით დამწვარი. აღაშენა უცხო ვენახი და წისქვილნი... მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნავთნი, ეგრეთვე მამულნიცა“.

წმიდა ექვთიმეს კურთხევით სავანეში ითარგმნებოდა სასულიერო ლიტერატურა, ეხმარებოდნენ ავადმყოფებს, მოწაფეებს ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას...

წმიდა ექვთიმეს დაუწერია წმიდა ნინოს საგალობლები.

საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ეკლესიისა და ერისთვის დამაშვრალი მოღვაწე და მისი ხსენების დღედ 21 აგვისტო დაადგინა.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

შპს საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი მდებარე ქ. თბილისი დოლიძის ქუჩა №3, 61-ე საშუალო სკოლის შენობაში, აცხადებს ლიკვიდაციას 1 სექტემბრიდან. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე 33-11-42 ან 899 53-77-85.

ინფორმაცია

## სწავლის მძებნელებს მერხებით ეხმარებიან

სამტრედიაში განათლების სამინისტრომ გუშინ სასკოლო ინვენტარი ჩაიტანა.

იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებისთვის განკუთვნილი მერხები სპეციალურ შემკრებ-გამანაწილებელში მოათავსეს.

ინვენტარის ბაღდათში, წყალტუბოში, მარტვილსა და აბაშაში განაწილება დაიწყო. ამ დროისთვის განაწილებულია 2100 პერსონალური მერხი.

ინტერპრესნიუსი

ანეკდოტები

– ჩემი ქმარი ქორწილის შემდეგ მალე გარდაიცვალა...
– საწყალი, დიდხანს არ გატანჯულა!

* * *

– ერთი რამ ძალზე მაკვირვებს, ცოლს სისტემატურად ეჩხუბები, სიდედრს კი ალმერთებ.
– იმსახურებს! სწორედ მხოლოდ ეგ იყო ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი.



* * *

– შენ ხომ არ გაგიჟდი?! – უყვირის მამა გასათხოვარ ქალიშვილს, – მიმოიხედე, ონკანს გასდის, შპალერი ამძვრალია, ტელევიზორი ურევს, მაცივარი აღარ აცივებს, შენ კი საქმროდ პოეტი აირჩიე?!

* * *

მუზეუმში ექსკურსიამძღოლი:
– ამ საწოლში ეძინათ ლუდოვიკო მეთორმეტეს, მეცამეტეს, მეთოთხმეტესა და მეთხუთმეტეს, აგრეთვე ნაპოლეონს...
– ღმერთო ჩემო, – ამოიოხრა ერთ-ერთმა ექსკურსანტმა ქალმა, – საწყლები, ალბათ როგორ ვიწროდ იქნებოდნენ?

* * *

ბიჭი ეუბნება დედას:
– გავიქცევი, საფოსტო ყუთში წერილს ჩავაგდებ.
– ხომ არ გაგიჟდი. ისეთი თავსხმაა, კარგი პატრონი ძაღლსაც კი არ გაუშვებს გარეთ, სჯობს, მამაშენი წავიდეს.

* * *

ცოლი სტუმრების დასახვედრად სადილს ამზადებს, ქმარი კი ტრუსებში გამოწყობილი ოთახში ბოლთას სცემს.
– მიდი, ჩაიცვი, – ეუბნება ცოლი, – სადაცაა სტუმრები მოვლენ.
– მოვიდნენ, და შემხედონ, თუ როგორ მაჭმევ...
– ბარემ ტრუსებიც გაიხადე, რათა კარგად დაინახონ, თუ რისთვის უნდა გაჭამო...

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

კადრი



საღამო სიონის ტბაზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

№ 161. სამშაბათი, 21 აგვისტო, 2007 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679;

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №12.
მთავარი რედაქტორი: 899 56-81-86
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
899 53-76-16; 899 36-00-35.
სარეკლამო განყოფილება: 98-65-87. 899 32-85-76

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.